


8 რევანსი არქაივის
 თამასაუჩები,
 ნაჩუჩარი მიწები
 და გრიგოლ
 მიქაილის შეს-ები



6 საქართველოს კიდევ
 ერთხელ გუგურობს, რომ
 კვლავაც ბევრი გუგურობა
 სჭირდება «მეკ»-ის
 მისაღებად, თანაც ვადა
 ისევ არ დაუზუსტებიათ



5 როგორ ჭურჭელში ინახავს
 «ქართული ოცნება»
 ვიდეოკომპრომატებს?

როდესაც ადამიანს პრატიკული აქვს, იმსჯელოს, ისაუბროს, მოქალაქეებს
 «ჭკუა ასწავლოს» და ამტკიცებდ ჩაბრუნოს სახელმწიფოს მმართველობაში ან
 ხელისუფალთა კონტროლის პროცესებში, თუნდაც ის ე.წ. არასამთავრობო
 ორგანიზაციის წარმომადგენელი იყოს, ასეთ შემთხვევაში მისი
 პირადი მსოფრთხილის შესახებ, ვფიქრობ, საზოგადოებას ამოგნუარაში
 ინფორმაციის მიღების უფლება და საშუალება უნდა ექმნოდეს

2 «ოპერაცია
 გუსტარლი»
 და «ქართული
 ოცნების» სხვა
 თავგადასავლები



4 თავსაფრიანი
 მამაკაცი




17 «დღეს ლიტვანი
 გახილავით რთული
 მდგომარეობა, ვიდრე
 საბჭოთა ეპოქაში იყო»

20 ბოლო 50 წლის
 განმავლობაში
 530-მილიონიან
 ევროპაში გველა
 იმსხვერპლა 9 ადამიანი,
 ხოლო 3,7-მილიონიან
 საქართველოში ბოლო
 10 წელიწადში – 12 კაცი



10 მარია სჯანია
 სამოგზაუროდ
 წასასვლელად ფულს
 მოსახლეობას სთხოვს

ყოფილი პარლამენტარი ქალბატონი
 მოგზაურობის დაფინანსებას
 სთხოვს არა დედს ან მას, არამედ
 ტარიტორიაშემოქარებულნი ქვეყნის
 მოსახლეობას, როგორც შორის
 ათიანთასობით ლტოლვილი და
 დაახლოებით 800 ათასი დარღ-დატაკი



14 ვინ ვინ აჭმევდა
 საბჭოთა
 კავშირში და ვინ
 იზარალა
 ყველაზე მეტად
 მისი დაბლით



www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



აზერბაიჯანელი ჟურნალისტი თბილისის ცენტრში „გაუჩინარდა“, სადაც ათობით სათვალთვალ კამერა მუშაობს და შეიძლება მოიპოვოს არაერთი მონაცემი, რომელიც დადასტურებს ვერსიას ქალაქობრივი ბატონობის შესახებ. სამის მიხედვით განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, ამ ინფორმაციის განსაჯაროების ალბათობა საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ინტერესებშია, მაქსიმალურად სწრაფად შემოგვთავაზოს მომხდარის ობიექტური და დამაჯაროებელი ვერსია, მაგრამ უკვე დღეს ნათლად ჩანს, რომ მისი მისაჯარი მიზანია, ამ საკმარის სუფთად გამოვიდეს (რაც შეუძლებელია).

29 მაისს, საღამოს, თბილისის ცენტრში აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი გაუჩინარდა. მალე გაირკვა, რომ ალიევის ხელისუფლებასთან დაპირისპირებული მუხთარლი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმყოფება — მას ბრალი საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დასდეს და სამთვინი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. ასე დაიწყო სკანდალი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს.

მომხდარის თაობაზე უამრავი განცხადება გაკეთდა და სამი ძირითადი ვერსია გამოიკვეთა: ერთ-ერთი თანახმად, მუხთარლი აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა გაიტაცეს, შესაძლოა, საელჩოს და „სოკარის“ რესურსების გამოყენებით, ისე, რომ ქართული მხარე საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ; მეორე ვერსიის მიხედვით, მუხთარლის გატაცება ქართული და აზერბაიჯანული მხარის ერთობლივი ოპერაცია იყო; მესამე ვერსიით კი, რომელსაც, ძირითადად, მეზობელი ქვეყნის ხელისუფლება და ზოგიერთი ქართველი მინისტრი ემხრობა, აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა, რაღაც ბუნდოვანი მოტივებიდან გამომდინარე, საზღვარი თვითონ გადალახა.

მინისტრების პასუხისმგებლობასა და გადადგომაზე. „ნაცმოძრაობის“ დეპუტატებმა მინისტრების გადადგომა მხოლოდ 1 ივნისს მოითხოვეს, ამავე დღეს მათმა მხარდამჭერებმა სოციალურ ქსელებში მუხთარლის ფოტოების გავრცელება დაიწყეს, რამდენიმე მათგანი საპროტესტო აქციებზე მივიდა. ნაციონალების ამ გაქტიურებიდან რამდენიმე საათში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ეკატერინა გენაძემ განაცხადა: „მოთხოვნა, რომ უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ან რომელიმე მინისტრი გადადგეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ოცნება და სურვილია. ამ ოცნებებითა და სურვილებით ვერ ვივლით“. სწორედ ასე მუშაობს სისტემა — „ნაცმოძრაობა“ მომგებიანი თემის პრივატიზებას, ხოლო „ქართული ოცნება“ დემოკრატი ოპონენტების იგნორირებას ახდენს და მისთვის მოსახერხებელ მოწინააღმდეგეებს ეპაექრება, რომლის გვერდით საზოგადოების დიდი ნაწილი, „ნაციონალური“ დანაშაულებრივი წარსულის გამო, უბრალოდ, არ დადგება. მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, ხელი ხელს ზანს.

„აზერბაიჯანელი ჟურნალისტი თბილისის ცენტრში „გაუჩინარდა“, სადაც ათობით სათვალთვალ კამერა მუშაობს და შეიძლება მოიპოვოს არაერთი მონაცემი, რომელიც დადასტურებს ვერსიას ქალაქობრივი ბატონობის შესახებ. საქმის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, ამ ინფორმაციის განსაჯაროების ალბათობა საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ინტერესებშია, მაქსიმალურად სწრაფად შემოგვთავაზოს მომხდარის ობიექტური და დამაჯაროებელი ვერსია, მაგრამ უკვე დღეს ნათლად ჩანს, რომ მისი მისაჯარი მიზანია ამ საქმიდან სუფთად გამოვიდეს (რაც შეუძლებელია). მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები ერთი მეორის მიყოლებით იმეორებენ, რომ გატაცებაში ქართველი სამართალდამცველების მონაწილეობას გამორიცხავენ. რატომ გამორიცხავენ? ნუთუ ადრე ქართველ სამართალდამცველებს დანაშაული არ ჩაუდენიათ (მათ შორის სისტემური, ჯგუფური და მრავალ-

«ოპერასია მუხთარლი» და «ქართული ოცნების» სხვა თავგადასავლები



ის, რას აფხან მუხთარლის მიმართ მოხდა, «სტუმარ-მასპინძლის» ქვეყანაში არ უნდა მოხდარიყო; ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი თავს შეუკავშირებულა ბრძოლას

ლი უმძიმესი ეპიზოდისგან შემდგარი? თუ ამის შემდეგ „ქართული ოცნება“ სამართალდამცვეთ ორგანოები განმინდა? ნამდვილად არ გაუმწინდა, მეტიც: სისტემაში, ძველ ზონდერებთან ერთად, არაერთი ახალი, ფრიად საეჭვო კადრი დასაქმდა. თუ ერთმანეთს პირველ და მეორე ვერსიას შევადარებთ, ვნახავთ, რომ მოსაზრება აზერბაიჯანელების დამოუკიდებელი მოქმედების თაობაზე ნაკლებად დამაჯერებელია. ასეთი რთული ოპერაცია, რომელიც უმეტესად მოხდეს შემთხვევითი ინციდენტი, რომელიც ყოველივეს ჩაშლის, ხოლო ორი ქვეყნის ურთიერთობას უმწვავეს კონფლიქტამდე მიიყვანს. იდგაში, სპეცსამსახურები შეიძლება მოიქცნენ ასე მტრული ქვეყნის ტერიტორიაზე ან იქ, სადაც ადგილობრივი სახელმწიფოებრიობა სათვალთვალ ჩასაგდება აქტივობა არ წარმოადგენს (სომალი, იემენი და ა.შ.). მაგრამ საუბარი ქვეყნებზე, რომ-

ლებიც სტრატეგიული პარტნიორები არიან და ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთ ვითარებაში აზერბაიჯანელი ძალოვანები ყოველგვარი ლოგიკის წინააღმდეგ წავიდნენ. რაც შეეხება მეორე ვერსიას, რომელიც გატაცებაში ქართველი ძალოვნების მონაწილეობას გულისხმობს, აქ შეიძლება სამი „ქვეყნისა“ გამოიკვეთოს: ა) ძალოვანი უწყებების პირველი პირები საქმის კურსში იყვნენ. ეს კი, იმის გათვალისწინებით, თუ როგორაა მოწყობილი სახელისუფლო ვერსიის ფლოტა ზემდგომი ფიგურაც (არა იმდენად პრემიერმინისტრი, რამდენადაც „უგვირგვინო მეფე“); ბ) ოპერაციაში მონაწილეობდა მხოლოდ რამდენიმე მოქმედი ან (და) გადამდგარი ძალოვანი, რომლებმაც დამკვეთისგან დიდძალი თანხა მიიღეს, ხოლო მათი ხელმძღვანელები საქმის კურსში არ იყვნენ;

გ) ქართველ შემსრულებლებს არ ჰქონდათ უშუალო კავშირი ძალოვან უწყებებთან და ისინი (მაგალითად) კრიმინალურ სამყაროს ეკუთვნოდნენ, ხოლო ძალოვანებმა მათ ხელი არ შეუშალეს (ან ვერ შეუშალეს, რადგან ინფორმაციას არ ფლობდნენ). სამივე შემთხვევაში დღის წესრიგში მსს-სა და სუს-ის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი დგება. მაგრამ, სანამ ამ თემას შევეხებით, ერთ-ერთი „ქვეყნისა“ უნდა განვავრცოთ: თუ აზერბაიჯანულმა მხარემ მოახდინა ნიადაგის ზონდირება, ხოლო შემდეგ საქმის კურსში ჩააყენა ქართველი კოლეგები, მათ, სავარაუდოდ, ჰქონდათ საკმარისი დრო იმისთვის, რომ მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე დაფიქრებულიყვნენ. დაეუფლათ, რომ გარემოებათა გამო ალიევის ხელისუფლებას უარს ვერ ეუბნებოდნენ (რაც თავისთავად კატასტროფაა). მათ შეეძლოთ, მიენიშნებინათ აფგან მუხთ-

არლისთვის, რომ საქართველოში დარჩენა მისთვის უსაფრთხო აღარაა და თავიდან აცილებინათ როგორც ინციდენტი, ისე მისი ნეგატიური შედეგები — უფლებადამცველების აღშფოთება და აშკარა საინფორმაციო ზიანი, მაგრამ მათ, განხილული ვერსიის ფარგლებში, ეს არ გააკეთეს. რამოტივი შეიძლება გამოიკვეთოს აქ, ანგარების გარდა? შესაძლოა, ეს მოტივი სახელისუფლო პირამიდის ქვედა საფერებზე დომინირებდა, მაშინ, როდესაც მწვერვალზე სხვა, პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდნენ. საქართველოში საკმაოდ ბევრი აზერბაიჯანელი დისიდენტი ჩამოდის, ზოგი მათგანი აქ წლების განმავლობაში ცხოვრობს, მოღვაწეობს და თანამოაზრეებთან ერთად აზერბაიჯანში ხელისუფლების შეცვლის გეგმებს აწყობს. მას შემდეგ, რაც თურქეთში ფეთქულაჰ გიულენის მომხრეების მასობრივი დაპატიმრება დაიწყო, მეორე მეზობელი ქვეყანაც ყურადღებით აკვირდება, თუ რას აკეთებენ თბილისში თურქი დისიდენტები. ეს ფაქტორი ორივე ქვეყანასთან ურთიერთობაში გარკვეულ დაძაბულობას ქმნის. ამასთანავე, ივანიშვილის ხელისუფლებას არ სურს, რომ აზერბაიჯანი ან თურქეთი მისი მოწინააღმდეგეებისთვის (მაგალითად, რადიკალი ნაციონალებისთვის, სააკაშვილის ხელმძღვანელობით) პლაცდარმად გადაიქცეს. ამ კონტექსტში ჩვენ ვერ გამოვიცხავთ, რომ რაღაც მომენტში ხელისუფლება მივიდა დასკვნამდე, რომ მუხთარლის (ფაქტობრივი) გადაცემით აზერბაიჯანისთვის ან თუნდაც მისი გატაცების დაშვებით, ის გუგუზავნიდა მკვიფრი მისივე ყველა აზერბაიჯანელ და თურქ დისიდენტს, რომ საქართველო უსაფრთხო თავშესაფარი არაა, რაც მათ ჩვენი ქვეყნის დატოვებისკენ უბიძგებს. ამ ვერსიის ფარგლებში, ერთ-ერთი უსამოვნებისა და ევროპული თუ ადგილობრივი ოპონენტების აღშფოთების ფასად, ხელისუფლება მომავალში იმ პრობლემის მოხსნას მიიღებდა, რომელიც აზერბაიჯანისა და თურქეთს ასე აწუხებს. საუბარი ცინიკურ, ანტიუმანურ გათვალისწინებაზე ხელისუფლების წარმომადგენლები, ცხადია, იტყვიან, რომ მსგავსი რამ აზრადაც არ მოსვლიათ, თუმცა არსებობის უფლება, ალბათ, ამ ვერსიასაც აქვს. სახელმწიფოს სისუსტე ინდულგენცია არ არის და ის არათავისუფლებს მას გარკვეული პრინციპების დაცვის ვალდებულებისგან. ის, რაც აფგან მუხთარლის მიმართ მოხდა, „სტუმარ-მასპინძლის“ ქვეყანაში არ უნდა მომხდარიყო; ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი თავს შეუკავშირებულა ბრძოლას გრძობს. ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც მაღალი იდეალებსა და პრინციპებს უარს თქვა (ერთის შეხედვით) პრაგმატული გათვლის სასარგებლოდ ხდება, არა მხოლოდ ზნეობრივი ორინტორების მოშლაზე, არამედ სახელმწიფოებრივი აზროვნების მწვავე კრიზისზე მიუთითებს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მოხდა ეს რეალურად თუ მხოლოდ ხელისუფლების მოხალისე ან დაქირავებული ადვოკატების გამოსვლებში გამოიხატა.

საკმაოდ ძნელია იმის ნარკოდგენა, რომ მუხთარლი არაქალაქურად გადავიდა იმ ქვეყანაში, რომელიც საფრთხე ემუქრება, თანაც უკანონოდ, პასპორტის გარეშე. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება სწორად ამ ვერსიას „აწვება“, რადგან სხვა ვარიანტები რთული არჩევანის წინაშე დააყენებდა

საგულისხმო დეტალი: 31 მაისს ნაციონალები ჩუმად ისხდნენ, საპროტესტო აქციას სახელმწიფო კანცელარიასთან დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები მართავდნენ. სწორედ იქ და თანმდევ ტელეეთერებში დაიწყო საუბარი



გვარჯიანი აზრს, რომ ერთმანეთს ჩახუტაბული ორი კაცი (გნეპავით, ქალი), თუნდაც ერთ-ერთი მათგანი ქვეყნის პირველი პირი იყოს, ჩვეულებრივი ამბავია. ამ ყველაფრის პროვოკაციას დაუფარავად ეწვიან ტელევიზიებიც და გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის ხალხს, ყველა გადაცემაში თუ არა, ყოველ მეორე შოუში იწვევენ. ამისთვის კი აუცილებელი პირობაა, გოლივი ტიპის ორიენტაციის და, სტუმარს ცოტა შედეგად მანერები ჰქონდეს.

თავსაფრიანი მამაკაცი

ორი წლის წინათ, 2015 წლის 16 მაისს, ანუ ერთი დღით ადრე, სანამ ევროპა ლგბტ-თა დღეს იხეივებდა, ჩვენთან კი ოჯახის სინამდის დღეს აღნიშნავდნენ, შემდეგი ინფორმაცია გავრცელდა: „ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი, ქსავიე ბეტელი, მისივე სქესის წარმომადგენელზე, 38 წლის ბელგიელ არქიტექტორ გოტიე დესტენეზე დაქორწინდა. წყვილი საქორწინო ცერემონიას ლუქსემბურგის რაჭუმში გეგმავს. ბეტელი, წელიწად-ნახევარია, პრემიერმინისტრის პოსტს იკავებს, ის თავის სექსუალურ ორიენტაციას არასოდეს მალავდა. ქსავიე ბეტელის რჩეული სერგეი რახმანიოვის შთამომავალია. ლუქსემბურგში ერთნაირსქესიანთა ქორწინება 4 თვის წინათ დაკანონდა. ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი ევროკავშირის მეორე ლიდერი იქნება, რომელიც თავისივე სქესის წარმომადგენელზე დაქორწინდა. გავრცელებული ინფორმაციით, თავისივე სქესის წარმომადგენელზე დაქორწინებული ისლანდიის პრემიერმინისტრიც...“



ნალით რატომ ვამტკიცებთ, თორემ მარტო ერთი, განსხვავებული ორიენტაციის პირები არც ჩვენთან იმდენად რამის და არც ევროპაში. ისევე ტელევიზიებს დავუბრუნდეთ. როცა ბავშვები შოუებს უყურებენ და ხედავენ, რომ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები უფრო მარტივად აღწევენ წარმატებას, უფრო ხშირად არიან ყურადღების ცენტრში, ვეღარ ხვდებიან, რატომ არ მოსწონთ მშობლებს ასეთები და ამ ყველაფერს

თავსაფრიანი მამაკაცის უპოვო პირობა გვაქვს, ევროპის თუ ამერიკის ხაზით კი სხელმწიფო ამ სენს არ ებრძვის და ნელ-ნელა მივდივართ სოლიდარ-გომორისკენ. არ არის აუცილებელი, ლეგიონის ცეცხლი შევიდნენ ნამოვიდეს, უმოქმედობით ჩვენც მშენივრად მოვანყობთ მეორედ მოსვლას და, გადავარების გზაზე რომ ვართ შემდგარი, კარგად ჩანს.

გაბატონა და დისტანცია მართლაც იქორწინეს და ნატოს სამიტზე რახმანიოვის შთამომავალმა მსოფლიო ლიდერთა მეორე ნახევარს, ანუ პირველი ქალბატონების გვერდით სურათიც გადაიღო, როგორც ლუქსემბურგის პირველმა ლედიმ. ამ ფოტოს გარდა, იმ სურათმაც მსოფლიო მოიარა, რომელიც ლუქსემბურგის პრემიერი თავის მეორე ნახევარს ეხუტებოდა და, ჰოი, საოცრებაც, საქართველოში რამდენიმე ათეულმა ადამიანმა ეს ამბავი მოიხონა, — რა საყვარლები არიანო.

ვერ გეტყვით, რა არის კარგი და მოსაწონი იმაში, რომ ორი კაცი ერთმანეთს ეხუტება და ცოლ-ქმარი ჰქვია; ვერც იმას გეტყვით, რატომ არ აქვთ ლუქსემბურგში რეაქცია იმაზე, რომ ქვეყნის პირველი პირი და სახე არის გეი, მაგრამ ფაქტია, ჩვენც ამისკენ მივყავართ და გვარჯიანი აზრს, რომ ერთმანეთს ჩახუტებუ-

ლი ორი კაცი (გნეპავით, ქალი), თუნდაც ერთ-ერთი მათგანი ქვეყნის პირველი პირი იყოს, ჩვეულებრივი ამბავია. ამ ყველაფრის პროვოკაციას დაუფარავად ეწვიან ტელევიზიებიც და გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის ხალხს, ყველა გადაცემაში თუ არა, ყოველ მეორე შოუში იწვევენ. ამისთვის კი აუცილებელი პირობაა, ბოდიში ტერმინისთვის და, სტუმარს ცოტა შედეგად მანერები ჰქონდეს. ახლა მეტყვიან, პედერასტი კი არა, გეი უნდა დავუძახო, მაგრამ გეი არის **ქლტონ ჯონი**, 16 სექტემბერს რომ ჩამოვა საქართველოში და იმდერებს, და რომელსაც მილიონობით თავყვანისცემელი ჰყავს. მეტყვით, ლუქსემბურგის პრემიერს იმის მეათედი დამსახურება ჰქონდეს კაცობრიობის წინაშე, რაც ელტონ ჯონს აქვს.

ისე არ გამიგოთ, თითქოს კაცი თუ მღერის და განსხვავებული ორიენტაცია აქვს, მივესალმები. ასეთები საქართველოში იმდენია, ორივე ხელის თითები არ გვეყოფა ჩამოსათვლელად, მაგრამ ელტონ ჯონი სხვა განზომილებაა, სხვა სამყაროა და იქ მხოლოდ ერთეულები არიან... ევროპასთან უფრო მიმოსვლის დანახვის შემდეგ ხელისუფლება ყველანაირად დამსახურება ჰქონდეს თუ ამერიკელებს დაანახვოს, რომ საქართველოს მოსახლეობას არანაირი ფობია არ აქვს და ლგბტ-პირებს არავინ ერჩის.

ნისვლისკენ ხელის შეშლად აღიქვამენ. მათთვის მისაღებ ხდება მათი ქცევა, მოქმედება, მისწრაფებაც და... იმაზეც ხედავენ, რომ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყნის პრემიერი საჯაროდ ეხუტება კაცს და მას მსოფლიო ლიდერები (და მათ შორის ჩვენი ქვეყანაც) ტაშს უკრავს, აღიარებს, ინვესტ, ხვდება, ხელს ართმევს... და ეს ყველაფერი კარგია, ეს ყველაფერი მისაღებია, თურმე იქ არის ჩვენი ადგილი ისტორიულად და, რაც აქამდე იყო,

ნიაზ ბოლქვაძე: საქართველოს პარლამენტის მოღალატეობრივ და ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას უფსკრულისკენ მიჰყავს ქვეყანა

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი“, უკვე წლებია, ბათუმში ოსმალთა ბატონობისგან აჭარის გათავისუფლებისთვის თავდადებული გმირების მემორიალის დასადგმელად ადგილის გამოყოფას ამოად ითხოვს. ადგილობრივი ხელისუფლება მათ კვლავინდებურად უყურადღებოდ ტოვებს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს აღნიშნულმა ორგანიზაციამ საკითხის განსახილველად საკრებულოში 3100 მოქალაქის ხელმოწერით პეტიცია შეიტანა, არაფერი შეცვლილა. საკრებულომ არათუ განიხილა და დღის წესრიგში შეიტანა მოთხოვნა, ელემენტარული განმარტებაც არ გააკეთა და, ჯამში, 30 ათასზე მეტი მოქალაქის მოთხოვნა სრულიად უგულვებელყო. კონკრეტულად რას ითხოვს ორგანიზაცია „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი“ და ვის მიმართებს მათ შესაბამისი მოთხოვნით? — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის“ თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძე ესაუბრება.



სა და დედასაქართველოსთან დაბრუნებისთვის თავდადებულ გმირთა მემორიალის დასადგმელად ბათუმში ადგილის გამოყოფას. ეს არის ხალხის მოთხოვნა და შესაბამისი ხელმოწერები ჩვენ უკვე შევავრთვეთ. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის აპრილში შევხვდით ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე ლაშ სირაბიძეს და გავაცანით აღნიშნული მოთხოვნა, კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ. მან თქვა, რომ მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება ამას ვერ გადაწყვეტს და

საბოლოოდ ყველაფერი დამოკიდებულია თბილისზე. — ხელმოწერები ასხენეთ და, დაახლოებით რამდენი ხელმოწერა შეგროვებთ? — ცოტა შორიდან დავინყებ. 2015 წელს, როცა ქალაქის ხელმძღვანელობისგან ამ საკითხზე, ხელშეწყობის ნაცვლად, მხოლოდ ხელშეშლას ვხედავდით, ბათუმის საკრებულოში 3100 მოქალაქის ხელმოწერა შევიტანეთ. მოვითხოვდით საკითხის პეტიციის წესით განხილვას, თუმცა ყურადღებაც არ მოგვქცია. ამის შემდეგ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მოსახლეობაში და 2016 წლის დეკემბერში 23 ათასამდე ბათუმელის მოთხოვნა შევიდა საკრებულოში. პარალელურად კვლავ გრძელდებოდა ხელმოწერების შეგროვება, მაგრამ არანაირი შედეგი ამას არ მოჰყოლია. **ჯამში, 30 ათასზე მეტი მოქალაქის მოთხოვნა სრულიად უგულვებელყო ბათუმის საკრებულომ, აჭარის ხელისუფ-**

ლბაზ და საქართველოს კულტურის სამინისტრომ. მეტიც, არათუ განიხილეს ჩვენი პეტიცია, პასუხის ღირსადაც არ ჩამოვთვალეს — არანაირი კომენტარი, არანაირი განმარტება, თითქოს არაფერი ყოფილა... — რა მიზეზით არ გაძღვევენ მემორიალის დადგმის უფლებას? ვინ არის ამით დაინტერესებული? — როგორც გითხარით, უკვე ოთხი წელია, იდეის განხორციელებას ვცდილობთ და ამ ხნის განმავლობაში ბოლომდე არ გვემოდა, რა გვიშლიდა რეალურად ხელს, მაგრამ პარალელურად დიდგორობის უქმედებებს განიცხადებდნენ საკითხის ჩაგდებას შემდეგ ყველაფერი ცხადი შეიქნა. ეს არის ამ ხელისუფლების სიმხდალე და, სხვათა შორის, ამ საკითხზე ჩვენი პოზიცია ბათუმის საკრებულოს წარმომადგენლებსაც გავაცანით. იმის თქმა მინდა, რომ აჭარაში ამ მემორიალის დადგმასაც ზუს-

ცუდია, არ ვარგებულა და ვაი, რომ გვიან, მაგრამ მაინც მივხვდით — კარგი ცხოვრებისკენ სავალი გზა თურმე უკანალზე გადის...

ნიკო ლორთქიფანიძის გენიალური მოთხრობა „თავსაფრიანი დედაკაცი“ ყველას ნაკითხული გეტყვობთ, ტრაგედია, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „დიდებული ადამიანები უძველესი იკარგებიან“. ახლა მორიგი ტრაგედიის წინაშე ვართ — თავსაფრიანი მამაკაცების შემოტევის პერიოდი გვაქვს, ევროპის თუ ამერიკის ხაზით კი სხელმწიფო ამ სენს არ ებრძვის და ნელ-ნელა მივდივართ სოლიდარ-გომორისკენ. არ არის აუცილებელი, ლეგიონის ცეცხლი შევიდნენ ნამოვიდეს, უმოქმედობით ჩვენც მშენივრად მოვანყობთ მეორედ მოსვლას და, გადავარების გზაზე რომ ვართ შემდგარი, კარგად ჩანს.

ძალიან კარგია, რომ ეკლესია ამ ყველაფერს თავისებურად ებრძვის და 17 მაისი ოჯახის სინამდის დღედ გამოაცხადა, მაგრამ, მაგალითად, რუსეთში, როცა ეკლესია სექტებსა თუ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს ვერ მოერიდა, ხელისუფლება ჩაერთო საქმეში და ისინი კანონგარეშდნენ და მოაჯიბდა. ვიღაცისთვის ეს შეიძლება რადიკალური ზომი იყოს, კონკრეტულად ქვეყნისთვის კი შეგულა და ამას რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც აღიარებს.

ჰოდა, სანამ იმ დასკვნამდე არ მივალთ, რომ, რაც ევროპასა და ამერიკაშია, ყველაფერი კარგი არ არის, მანამდე არაფერი გვეშუქვება. ჰო, არ გვეშუქვება, რადგან ძალიან ძნელია, აუხსნა ბავშვს, რატომ არის პედერასტობა ცუდი, როცა ასეთი ორიენტაციის ადამიანებს ტელევიზორში ყოველდღე აჩვენებენ და ტაშს უკრავენ. ხაზს ვუსვამ — პედერასტობა, თორემ ელტონ ჯონის კონცერტზე წასვლას მეც ვაპირებ.

ბნსო გარბაძე

— ოთხი წელია, ამ იდეის განსახორციელებლად ვიბრძვით და მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საქართველოსთვის. მით უმეტეს, დღეს, როცა ხშირად გვესმის, რომ

აჭარა ოსმალეთის ისტორიული ნაწილი იყო, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება და ა.შ. რაც შეეხება კონკრეტულად მოთხოვნას, საქმე ეხება ოსმალთა ბატონობისგან აჭარის გათავისუფლები-





„ჩინელები მიიჩნევენ, რომ დღეს მათ ძველანაა გვერი მტერი ჰყავს და ჩინეთის საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მებრძოლებისა და ე.წ. მხარდამჭერი ძველანების მოქმედებისკენ. განსაკუთრებით ისეთი პატარა ძველანები აინტერესებთ, რომორიც საქართველოა, და პირდაპირ თქვენს კიდეც, რომ საქართველო შეიძლება გახდეს ჩვენი დიდი მეგობარი და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ძველანის პოლიტიკაში ჩარევას არ აპირებენ, მაგრამ, ვფიქრობ, დიდხალ ფულს პოლიტიკური გავლენაც მოჰყვება“.

«გლობალური კვლევების ხენობა» ჩინეთის ახალი ინიციატივის — «ერთი სარტყელი — ერთი გზის» შესახებ სემინარი გახდა

2 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაცია «გლობალური კვლევების ცენტრმა» საქართველო-ჩინეთის შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ახალი ინიციატივის — «ერთი სარტყელი — ერთი გზის» შესახებ სემინარი გამართა. ქართველმა სპეციალისტებმა იმსჯელეს იმაზე, თუ რას მიიღებს საქართველო ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში და როგორ აისახება ეს ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაზე. შეხვედრაზე თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს ქართველმა ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა — იოსებ არჩვაძემ, მამუკა არაშვილმა, არჩილ გიგინეიშვილმა, გუბაზ სანიძემ, პატრიკ მამრავამ და მასილ კაპანაძემ.



ნანა მჭედლიშვილი, «გლობალური კვლევების ცენტრის» ხელმძღვანელი

ჩვენი შეკრება მიეძღვნა იმ ახალ გიგანტურ პროექტს, რომლის იდეაც ჩინეთს ეკუთვნის. ბევრი კითხვის ნიშანი გამოჩნდა ამ პოპულარულ პროექტში «ერთი სარტყელი — ერთი გზა». საინტერესოა ამ ინიციატივის განხორციელების პერსპექტივა, როგორ იქნება საქართველოს როლი და ადგილი ამ პროექტში, ხომ არ მცირდება ამ შემთხვევაში ჩვენი როლი და მომავალში ნამდვილად პოზიციებზე ხომ არ აღმოვჩნდებით? ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს უფრო პოლიტიკური პროექტია, ვიდრე ეკონომიკური. შესაბამისად, ჩინეთის ბიზნესინტერესების გაფართოებას, შესაძლოა, მოჰყვებოდეს მისი პოლიტიკური ინტერესების გაფართოებაც. სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელეს სემინარზე საგანგებოდ მოწვეულმა სპეციალისტებმა. სხვათა შორის, დაახლოებით ერთ თვეში ჩინელ კოლეგებთან შეხვედრას და მათთან ერთად სემინარის გამართვასაც ვაპირებთ.



იოსებ არჩვაძე, ეკონომიკის საკითხების ექსპერტი

— აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკონომიკურ ურთიერთობებს უჭირავს. ამ მხრივ ჩინეთი გამოირჩევა. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში განმავლობაში საქართვე-

ლოსა და ჩინეთს შორის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ორჯერ სწრაფად იზრდებოდა პროდუქტის როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი. მაგალითად, ბოლო 4 თვის მონაცემებით, ჩვენი პროდუქტის ექსპორტი ჩინეთს თითქმის 10% უჭირავს და, ამჟამინდელი მდგომარეობით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვას თუ გადავხედავთ, ჩინეთი მეთრეფა ადგილზეა თურქეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ. ჩინეთსა და საქართველოს შორის ხელმოწერილია თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც დამატებით იმპულსს აძლევს ქართულ-ჩინურ ურთიერთობებს. საგულსხმოა, რომ ჩინეთს საქართველო აინტერესებს რამდენიმე ასპექტის გამო, მათ შორის, შედარებით ლიბერალური საგადასახადო რეჟიმისა და გეოგრაფიული მდებარეობის, ვინაიდან ეს მას საშუალებას მისცემს, ერთგვარი პლაცდარმი შეიქმნას ევროპისა და დასავლეთის მიმართულებით.

რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია საქართველოში ჩინური ბანკის გახსნის თაობაზეც. მართალია, ჯერ ცნობილი არ არის, ეს საინვესტიციო ბანკი იქნება თუ კომერციული, რადგან ამას თამაშის განსხვავებული ნუსები და პირობები მოჰყვება, ამიტომ ამ ინფორმაციის გარეშე რთულია დასკვნის გამოტანა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მილიარდი დოლარის კაპიტალის მქონე ბანკის შემოსვლა ქართულ საკრედიტო ბაზარზე სერიოზული მოთამაშის გამოჩენას ნიშნავს და ბანკებს შორის კონკურენციას გაზრდის. ამიტომ, ვფიქრობ, პოზიტიურად უნდა განვეწყოთ აღნიშნული პროცესებისადმი. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, მაგრამ უნდა ვიზრუნოთ, გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ეკონომიკური ინტერესები დავიცვათ.

არჩილ გიგინეიშვილი, საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში: — რამდენიმე ხნის წინათ თბილისში გამართა კონფერენცია, რომელიც, შეიძლება ითქვას, უკვე ჩატარებული კვლევის განხილვას ეძღვნებოდა. აღნიშნული კვლევა, ფრიდრიხ ებერტის ფონდთან ერთად, სტოკჰოლმში ცნობილი ანალიტიკური ცენტრის —



„სიორის“ მკვლევარებმა ჩატარეს და კვლევის საგანი იყო ჩინეთის ახალი ინიციატივის შესაძლო გავლენა სამხრეთ და ცენტრალურ აზიასა და ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობაზე. კვლევაში არ იყო ნახსენები სამხრეთი კავკასია, შესაბამისად, სწორედ ამ სივრცის შესახებადაა გაიმართა ეს დისკუსია, რომელზეც მონაწილეები იყვნენ კვლევის ავტორები და ექსპერტები სამხრეთ კავკასიიდან, მათ შორის — აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. ვიმსჯელებთ, რას უქადის ეს ინიციატივა ჩვენს ქვეყნებს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამ საკითხზე გაცილებით მეტი შეკითხვა გაჩნდა, ვიდრე პასუხი არსებობს, მაგრამ ფაქტია, ჩინელებს ძალიან უნდათ, უცხოეთში შექმნან ჩინური პროდუქტის გასაღების და თავიანთი გზების დასაქმების ბაზრები, ვინაიდან ქვეყნის შიგნით ამის რესურსი არ არსებობს.

ამას გარდა, მართალია, თვით ჩინელები ამას უარყოფენ, მაგრამ ჩინეთის ამ ინიციატივის უკან გეოსტრატეგიული და სხვა მიზნებიცაა, თუმცა ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია და ფაქტებზე არ არის დაფუძნებული. საზოგადოდ კი, ევრაზია ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში და ამ უზარმაზარი სივრცის სტაბილურობას გლობალური მშვიდობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დასავლეთისთვის, ასევე, ჩინეთისთვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ვისი პირობით დამყარდება ეს სტაბილურობა. დასავლეთის მიზანია, რომ ჩინეთის ამ ინიციატივას შეუძლია ხელი შეუწყოს დასავლეთის წესებით ევრაზიაში სტაბილურობის დამყარებას და ის აფრთხილებს თავის პარტნიორებს, მათ შორის, ჩვენც, მოსალოდნელი რისკების შესახებ. ერთ-ერთ რისკად ასახელებენ ამ პროექტის მასშტაბურობას, რომლის გამოც ჩინეთს შეიძლება მისი მართვა გაუჭირდეს. არადა, თუ ეს პროექტები ჩავარდება, ჩინეთის რეპუტაცია

შეილახება და ამ ქვეყანას უდიდესი პოლიტიკური რისკების წინაშე დააყენებს.

ისე კი, ძალიან ოპტიმისტები თუ ვიქნებით, საქართველოს შეუძლია არამხოლოდ თავისი მდებარეობით, არამედ გამჭრიახი დიპლომატიითა და გონივრული პოლიტიკით ისეთი პოზიცია დაიკავოს, რომ ქვეყნებს შორის ერთგვარი ხიდის როლი შეასრულოს. რადგან ჩინეთსა და ევროკავშირს ძალიან სჭირდება ერთმანეთი, ოღონდ ურთიერთობის მისაღებად პრინციპებზე ჯერ ვერ თანხმდებიან და, თუ შეთანხმდნენ, შეიძლება საქართველოს როლიც გამოიკვეთოს. მეორე საკითხია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებიდან და რუსეთთან ურთიერთობიდან გამომდინარე, პოლიტიკურად როგორ დავიკავოთ კორექტული პოზიცია. ამას გარდა, საინტერესოა, როგორ იქნება აშშ-ის ინტერესები. ჩვენ, როგორც პატარა ქვეყანას, მაქსიმალურად დივერსიფიცირებული უნდა გვქონდეს საგარეო ურთიერთობები.



პატრიკ მამრავა, «მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის» ხელმძღვანელი

— შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის დასრულებული პროექტი, ის ჯერჯერობით მხოლოდ ინიციატივაა. მეტიც, ჩინეთს დღემდე არ წარმოუდგენია პროექტით გათვალისწინებული მარშრუტების ოფიციალური რუკა. ამჟამად არსებული ყველა რუკა ცალკეული პირობების შექმნილია და არა სახელმწიფოსი. სხვათა შორის, ჩინეთის სახელმწიფო მდებარეობს პირდაპირი მითითება, რუკები არ გამოქვეყნდეს.

ჩინეთში საკმაოდ დიდ პოპულარიზაციას უწევს იმ საკითხს, რომ საქართველოსთან ხელი მოაწერეს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. რაც შეეხება იმ კრედიტების დაბრუნების გარანტიას, რომლებიც ჩინეთს ბევრი აქვს შრი-ლანკასა და სხვა ქვეყნებში გაცემული, ჩინეთს ის არ აქვს. პრობლემა ის არის, რომ შესაძლოა, ჩინეთის საბანკო სისტემა ჩამოიშალოს, ვინაიდან პირობების შესულები

არანაირ ინდიკატორი წარმოადგენილი არ არის.



გუბაზ სანიძე, პოლიტიკური პარტია «ერთი სარტყელი — ერთი გზის» ყოფილი წევრი, ისტორიკოსი

— ახლახან ვიმყოფებოდი ჩინეთში. პეკინის უნივერსიტეტში მიმინვიეს, სადაც ნაკვეთხე საჯარო ლექცია თემაზე «ერთი სარტყელი, ერთი გზა, უსაფრთხოება». ამას გარდა, ორი დახურული შეხვედრა მქონდა პეკინის სტრატეგიული კვლევების ცენტრსა და შანხაიში მოქმედ კვლევით ცენტრში. სხვათა შორის, ორივე ცენტრი რეკომენდაციებს აწვდის ხელისუფლებას. შესაბამისად, ჩემი ვიზიტიდან გამომდინარე, გარკვეულ კითხვებზე უკვე მაქვს პასუხები. ერთ თვეა უნდა, ანტირუსული ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია. ჩინეთში კარგად ესმით, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის დაპირისპირება მიმდინარეობს და ძალიან აინტერესებთ რელიგიური ურთიერთობები.

ჩემი აზრით, ამ პროექტით ჩინელები ქმნიან ერთგვარ საზღვარს სახელმწიფოებს, რომლებიც მომავალში ჩინეთის მოკავშირეები უნდა გახდნენ. მათი საუბრებიდან გამომდინარე, შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჩინელები პირველობისთვის ემზადებიან და დადგება ეტაპი, როდესაც დანარჩენი სამყარო ჩინეთს სთხოვს, სულ მცირე, ევრაზიას მაინც ჩაუდგეს სათავეები.

ივლისში შანხაის ჯგუფი საქართველოში ჩამოსვლას აპირებს ჩვენს ხელისუფლებასა და ქართველ ექსპერტებთან შესახვედრად. ჩინელები მიიჩნევენ, რომ დღეს მათ ქვეყანას ბევრი მტერი ჰყავს და ჩინეთის საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მეგობრებისა და ე.წ. მხარდამჭერი ქვეყნების მოძებნისკენ. განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნები აინტერესებთ, როგორც საქართველოა, და პირდაპირ თქვენს კიდეც, რომ საქართველო შეიძლება გახდეს ჩვენი დიდი მეგობარი და ამისთვის ყველაფერი უნდა

გავაკეთოთ. ქვეყნის პოლიტიკაში ჩარევას არ აპირებენ, მაგრამ, ვფიქრობ, დიდხალ ფულს პოლიტიკური გავლენაც მოჰყვება.

რაც შეეხება ამერიკასთან ურთიერთობას, არა მგონია, ჩინეთი ამერიკას დაუპირისპირდეს, პირიქით — რაღაც ეტაპზე დიდი საერთო ამერიკულ-ჩინური პროექტები შეიძლება მივიღოთ და ამერიკამ და ჩინეთმა მსოფლიოში გავლენის სფეროები გაიყონ. შესაბამისად, ეს პროექტი, შესაძლოა, ანტირუსულიც გახდეს. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა.

ჩემის აზრით, საქართველოსთვის ეს ძალიან პერსპექტიული საკითხია, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების დიპლომატიურ გამჭრიახობაში მეტარება ეჭვი. თორემ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არ აქვს კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და მან პოზიტიური გამტარის როლიც შეიძლება შეასრულოს. ასე რომ, აღნიშნული პროექტი და ჩინეთის გამოჩენა საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურ მოვლენად მიმაჩნია.



მამუკა არაშვილი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში

— თვალს ვადევნებ ჩინეთის საქმიანობას საქართველოში. ჩინეთსა და საქართველოს შორის დიდი პროექტი მზადდება, რომლის მიხედვით პირველ ეტაპზე ქვეყანაში 350 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელება იგეგმება. სავარაუდოდ, პროექტს ხელი აგვისტოში მოეწერება და დაიწყება ლოკომოტივის ქარხნის მშენებლობა, დასაქმდება 1500 კაცი. სხვათა შორის, ცოტა ადრე, ამავე კორპორაციის ანალოგიური ქარხანა აშენდა ჩიკაგოშიც. დოკუმენტში ასევე განხილულია, რომ პირველი ხუთი წლის განმავლობაში ისინი პროდუქტის გაყიდვაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ.

მასილ კაპანაძე, ჟურნალისტი, ექსპერტი

— დაახლოებით 15 წელიწადია, რაც ჩინეთის ვაჭრობისა და ეკონომიკის სამინისტრომ დაიწყო განვითარებადი ქვეყნებიდან სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტების მიწვევა და ძალიან დიდ რესურსებს ხარჯავენ ამისთვის. ჩინეთის ვაჭრობისა და ეკონომიკის სამინისტრო თავისი ქვეყნის პოპულარიზაციისთვის ყოველწლიურად 70-80 მილიონ აშშ დოლარს ხარჯავს. სამ-სამი კვირის ჩაპყვით საქართველოდან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მაგალითად — პოლიციელები, მეხანძრეები, ეკონომისტები, სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები და ა.შ. უჭარბებენ სემინარებს. სხვათა შორის, ჩინელები ამბობენ, დღეს ამერიკა პირველი სახელმწიფოა, ჩინეთი კი — მეორე, მაგრამ გვაქვს პერსპექტივა, გავხდეთ პირველები.

მომავალა შორისა ცივილიზაციის

«ჩინელებს ძალიან უნდათ, უხსოვთუი შექმნან ჩინური პროდუქტის გასაღების და თავიანთი გზების დასაქმების ბაზრები, ვინაიდან ძველანის შიგნით ამის რესურსი არ არსებობს»



საგარეო სახელმწიფო...

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რევან არველაძეს 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით მიუღია ახმეტაში. მემკვიდრეობით ეროვნულ, აბრეთვე, 240 კვ.მ საცხოვრებელი სახლი ახმეტაში. დეპუტატს თბილისის ზღვის ხელოს 1500 კვ.მ და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთებიც მიუღია. დეპუტატის რძალს საჩუქარად აქვს მიღებული 73.20 კვ.მ და 125.50 კვ.მ ფართობის ბინები კრონშტადტის ქუჩაზე, მამრამ დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, ვინაშან მიიღო ეს ძვირფასი ღირებულებითი საჩუქარი.



რევან არველაძე



გიორგი მიქელაძე

რევან არველაძის თამასაუქები, ნარჩუქარი მიწები და გრიგოლ მიქელაძის შპს-ები

საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 900 ათასამდე მოქალაქე სოციალურ შემწეობასა და პენსიაზე დამოკიდებული, რომელიც სრულფასოვანი კვებისთვისაც არ არის საკმარისი. მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ლამის მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა, პარლამენტსა თუ მთავრობაში მილიონერების სიმცირეს არ ვუჩივით. საქართველოს პარლამენტში 41 მილიონერი დეპუტატია (დამთხვევა სიმბოლურია — 41 ხომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომერია?!)... მილიონერ დეპუტატთა შორის არიან „ქართული ოცნების“ წევრები: რევან არველაძე და გრიგოლ მიქელაძე, რომელთა ქონებაც შესაბამისად, 3 560 916 და 3 175 940 ლარს შეადგენს.

პარლამენტარი რევან არველაძე 1941 წლის 28 ოქტომბერს თბილისში დაიბადა. ჰყავს მეუღლე — მარინა ხომერიკი, შვილი — გიორგი არველაძე და რძალი რუსუდან ტყეშელაშვილი; შვილიშვილები — ქეთევან და გიორგი არველაძე. პარლამენტარს დეკლარაცია 2017 წლის 17 იანვარს შეუვსია.

რევან არველაძესა და მის ვაჟს ი. აბაშიძის ქუჩაზე 90 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართობი 5000 აშშ დოლარად შეუძენიათ. მამა-შვილი ი. აბაშიძის ქუჩაზე მდებარე 145.92 კვ.მ ბინის 50-50%-საც ფლობს, რომელიც 270 000 აშშ დოლარად შეუძენიათ.

რევან არველაძეს 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით მიუღია ახმეტაში. მემკვიდრეობით ეროვნულ, აბრეთვე, 240 კვ.მ საცხოვრებელი სახლი ახმეტაში. დეპუტატს თბილისის ზღვის ხელოს 1500 კვ.მ და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთებიც მიუღია. დეპუტატის რძალს საჩუქარად აქვს მიღებული 73.20 კვ.მ და 125.50 კვ.მ ფართობის ბინები კრონშტადტის ქუჩაზე, მამრამ დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, ვისგან მიიღო ეს ძვირად ღირებული საჩუქარი.

des ML 320 2002 (15 000 აშშ დოლარად).

რუსუდან ტყეშელაშვილის საკუთრებაა ავტომობილი 2013 ACURA MDX, რომელიც 27000 აშშ დოლარად შეუძენია.

რევან არველაძე „რიკოში“ თამასაუქის მფლობელიცაა, რაც მას 190 000 აშშ დოლარად შეუძენია და ფასიანი ქალაქის ნომინალი 190000 აშშ დოლარია ფასიანი ქალაქების რაოდენობა კი 1-ია. კიდევ ერთი თამასაუქი, ასევე „რიკოში“, პარლამენტარს 127000 აშშ დოლარად შეუძენია. აქვს სს „ლიბერთი ბანკის“ ოლიგარქებიც — 80000 აშშ დოლარად აქვს შეძენილი და ფასიანი ქალაქების ნომინალიც 80000 აშშ დოლარია. გიორგი არველაძეს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის თანაშემწის თანამდებობა და 3040,43 ევრო ჰქონდა. ასევე „ლიბერთი ბანკში“ ანაბარზე 42,77 ლარი და „თი-ბი-სი ბანკში“ სახელფასო ანგარიშზე 6,81 ლარი ერიცხებოდა. მარინა ხომერიკის „ლიბერთი ბანკში“ ანაბარზე — 3000 ლარი, ხოლო საპენსიო ანგარიშზე 100 ლარი ერიცხებოდა. რუსუდან ტყეშელაშვილს „თი-ბი-სი ბანკში“ მიმდინარე ანგარიშზე 20 ლარი ერიცხებოდა, ხოლო პარლამენტარის შვილს „საქართველოს ბანკში“ სახელფასო ანგარიშზე — 16023 ლარი, „ლიბერთი ბანკში“ მიმდინარე ანგარიშზე — 224365 აშშ დოლარი, 7,26 ევრო და 28,26 გირვანქა სტერლინგი.

გიორგი არველაძე სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციონერი, რომელიც დიდი ბრიტანეთის შესაბამისი ორგანიზაციაა, მამრამ დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, ვისგან მიიღო ეს ძვირფასი ღირებულებითი საჩუქარი.

რიგოლ მიქელაძის სახლი 514 964 000 ლარად.

რევან არველაძის ნლიური შემოსავალი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 3032,53 ლარია, საქართველოს პარლამენტიდან კი მისი ნლიური შემოსავალი 7090,90 ლარს შეადგენს.

გიორგი არველაძეს 2016 წელს 72450 ლარად და 73000 ლარად მიწის ნაკვეთები შეუძენია და ეს თანხა ნაჩვენებია მის ნლიურ გასაჯალში. მას სასოფლო-სამეურნეო მიწა 38000 აშშ დოლარად გაუყიდა. გიორგი არველაძეს მოსავლის დაზღვევით ნლიური შემოსავალი 12920 ლარი ჰქონია. პარლამენტარის შვილს შარშან 187 000 აშშ დოლარად შეუძენია ბინა, 60 000 და 54000 ლარად — სასოფლო-სამეურნეო მიწები. გიორგი არველაძეს იპოთეკური სესხი, 200000 აშშ დოლარი, ნლიური შემოსავლად აქვს ნაჩვენები. რევან არველაძის მოსავლიდან მიღებული შემოსავალი 10489,50 ლარი. გიორგი არველაძეს სარემონტო სამუშაოებში 70000 ლარი და სწავლის საფასური 4200 აშშ დოლარი გადაუხდია.

შარშან „ოცნების დეპუტატის“ საპროცენტო შემოსავალი 31267 ლარი და 51376 აშშ დოლარი ყოფილა, მისი ვაჟის საპროცენტო შემოსავალი კი — 25 600,43 ლარი და 15 738,48 აშშ დოლარი. პარლამენტარს განათლება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიუღია, სპეციალობით, როგორც პარლამენტის ვებგვერდზე აღნიშნული — ელექტრონიკის ქულები და სისტემები.

კიდევ ერთი მილიონერი დეპუტატი **გრიგოლ მიქელაძე** 1954 წლის 30 მაისს სამტრედიოში დაიბადა. ჰყავს მეუღლე — ნინო მუხანაძე. დეკლარაცია პარლამენტარს 2017 წლის 13 იანვარს აქვს შევსებული.

მილიონერი დეპუტატის უძრავი ქონების ჩამონათვალი ასეთია:

ნინო მუხანაძის საკუთრებაა 99 კვ.მ ფართობის აგარაკი და 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთი ოზურგეთში, სოფელ მთისპირში. ეს ქონება მას საჩუქრად მიუღია. ბახმაროში 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი უყიდა, თუმცა დეკლარაციაში წერს რომ შენაძენი ფული არ გადაუხდია. გრიგოლ მიქელაძეს სოფელ ნაბაკეში 751 კვ.მ მიწის ნაკვეთი 750 ლარად შეუძენია. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე 759,20 კვ.მ საცხოვრებელი სახლი 352 000 ლარად უყიდა. ამავე მისამართზე 789 კვ.მ მიწის ნაკვეთიც 352000 ლარი გადაუხდია. დეპუტატი აღნიშნული ქონების 79%-ის მესაკუთრეა, დანარჩენი კი შპს „კავკასიის განვითარების ბიზნეს ჯგუფის“ საკუთრებაა.

სამტრედიოში, სოფელ ნაბაკეში, მიქელაძის საკუთრებაა: 3216 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც 1500 ლარად შეუძენია; 26 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი და 290 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, კიდევ ერთი 220 კვ.მ სახლი და 12500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მემკვიდრეობით მიუღია; 1760 კვ.მ, 1994კვ.მ და 5100 კვ.მ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მას 1500 ლარი, 10000 ლარი და 1500 ლარი გადაუხდია. გრიგოლ მიქელაძეს სამტრედიოში, სოფელ კულაშიში, 20800 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 8623,40 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობები მიქელაძეს 320000-320000 ლარი აქვს გადახდილი. ასევე კულაშიში პარლამენტარს აქვს 3296,90 კვ.მ ფართობი.

გიორგი მიქელაძის საკუთრებაა 455,95 კვ.მ საცხოვრებელი სახლი და 268 კვ.მ მიწის ნაკვეთი თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე; ურეკში — 33600 ლარად შეძენილი 4800 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 486 კვ.მ ფართობის აგარაკი და 2991 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თითოეული 3000-3000 ლარად შეძენილი.

გიორგი მიქელაძეს თბილისში, კახეთის გზატკეცილზე 630 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი და 1861 კვ.მ მიწის ნაკვეთი 5000-5000 ლარად შეუძენია. დაბა წყნეთში კი 12,43 კვ.მ დამხმარე ფართი, 1035,87 კვ.მ მიწის ნაკვეთი უყიდა, თითოეული 5000 ლარად. 2630 კვ.მ მიწის ნაკვეთი ურეკში მას 2000 ლარად აქვს შეძენილი. დეპუტატის საკუთრებაა 317 კვ.მ მიწის ნაკვეთი თბილისში, მეცნიერებათა აკადემიის უკან

მდებარე ეზო, რომელიც მას 20000 ლარად აქვს ნაყიდი. ასევე პარლამენტარის საკუთრებაა 193,04 კვ.მ ბინა რადიანის ქუჩაზე, მასში 63800 ლარი აქვს გადახდილი.

გიორგი მიქელაძის საკუთრებაა ავტომობილი „ლენდ კრუიზერ 200“, რომელიც 65000 აშშ დოლარად შეუძენია, ხოლო ავტომობილი „მერსედეს ბენც 450 სლ“ მას 105000 აშშ დოლარად უყიდა.

გიორგი მიქელაძე შპს „ის-ისის“ სავაჭრო ცენტრის „51%-ის მფლობელია, მისი პარტნიორი **ელჩინ მამედოვი**. დეპუტატი შპს „ჯი არ ჯის“ 45%-ის მფლობელიცაა. მისი პარტნიორები არიან **თამაზ ქობახიძე** და **მაია ცინცაძე**. გრიგოლ მიქელაძე შპს „საქრკინიგზაექსპედიცია“-ს 40%-ის მფლობელიცაა, პარტნიორები — **მიხეილ ასათიანი** და **მასილ ჩიგოძე**. ნინო მუხანაძე შპს „კავკასიის განვითარების ბიზნეს ჯგუფის“ 17%-ის მფლობელია, 83%-ის მფლობელი კი მისი მეუღლეა. საწარმოს კაპიტალის ოდენობა 170 000 ლარია. მისი ნლიური შემოსავალი 50 000 და 150000 აშშ დოლარია.

გიორგი მიქელაძე შპს „საქართველოს კასპიის ნავთობისა და გაზის კომპანის“ 31%-ის მფლობელია. საწარმოს კაპიტალის ოდენობა 2000 ლარია. მისი პარტნიორები არიან **თამაზ ქობახიძე**, **ჯორჯი ყურაშვილი**, შპს „ის-ისის“ ჯგუფი და **მიხეილ ასათიანი**. ოცნების დეპუტატი შპს „ნოვოროსისის“ კი მფლობელია „100%-ს ფლობს. საწარმოს კაპიტალის ოდენობა 100 ლარია. გრიგოლ მიქელაძე შპს „ტრანსსერვისი“ ფლობს აქციების 70%-ს. საწარმოს კაპიტალის ოდენობა 1000 აშშ დოლარია. მისი პარტნიორია **მედა ხონელიძე**. ნლიური შემოსავალი კი 350 000 აშშ დოლარია. დეპუტატი შპს „მ.სლ.“-ს 50%-ის მფლობელიცაა. საწარმოს კაპიტალის ოდენობა 2000 ლარია, პარტნიორი კი თამაზ ქობახიძეა.

პარლამენტში გრიგოლ მიქელაძის ნლიური შემოსავალი 5550,04 ლარია.

დეპუტატს ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ფართობი იჯარით აქვს გაცემული და მისი ნლიური შემოსავალი 5204 აშშ დოლარია. მას ქეთევან ნამეტაძის გამზირზე მდებარე უძრავი ქონებაც იჯარით აქვს გაცემული და მისი ნლიური შემოსავალი 5000 აშშ დოლარია. კულაშიში მდებარე უძრავი ქონების იჯარით დეპუტატის ნლიური შემოსავალი 7300 აშშ დოლარია. გრიგოლ მიქელაძეს ფალიაშვილის ქუჩაზე სხვა ქონებაც აქვს იჯარით გაცემული და მისი ნლიური შემოსავალი 14499 აშშ დოლარია. შარშან გრიგოლ მიქელაძეს „საქართველოს ბანკში“ 2 150 045 აშშ დოლარი სესხი აუღია. მას 1263891; 988170 და 43371 აშშ დოლარი გაუსესხებია და ეს გასაჯალში აქვს ნაჩვენები. მისი გასაჯალი დახმარებაში 300000 ლარია.

გიორგი მიქელაძეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, სპეციალობით სამშენებლო მასალების ნაკეთობა და კონსტრუქციების საწარმოთა მექანიკური მოწყობილობა. დეპუტატს ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაშიც უსწავლია.

გიორგი ბელაშვილი



როდრიგო დუტარტას, მისი ექსცენტრიული ქცევისა და ფრიალ საკამათო მეთოდების მიუხედავად, ესმის, რომ რეგიონი შეიცვალა. მას არ სურს, მისმა ქვეყანამ ვაშინგტონისთვის ჩინეთთან დაპირისპირებაში პლაცდარმის როლი შეასრულოს. ის, რომ ვაშინგტონში ფილიპინებს ამ გეოპოლიტიკურ ფუნქციას იმთავითვე ანიჭებდნენ, რაც კარგად ჩანს არაერთი ამერიკელი პოლიტიკოსის განცხადებიდან ან თუნდაც ასი წლის წინანდელი კარიკატურიდან მინანქრით „ფილიპინები მხოლოდ საფეხური ჩინეთისკენ მიმავალ გზაზე“.

ფილიპინების კუნძულ მინდანაოზე გრძელდება შეტაკებები სამთავრობო ძალებსა და ისლამისტ მებრძოლებს შორის. ამ კონფლიქტის უკან არა მხოლოდ ადგილობრივი პოლიტიკური უკმაყოფილების, არამედ გლობალური მოთამაშეების ინტერესები იკვეთება. კონფლიქტი მინდანაოზე ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივია კაცობრიობის ისტორიაში. ის XVI საუკუნეში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ესპანელები ფილიპინების კოლონიზაციასა და გაქრისტიანებას შეუდგნენ. მათი ბრძოლა სამხრეთ ფილიპინების მუსლიმურ სასულთნოებთან გარდამავალი უპირატესობით წარმართა — ხანმოკლე სამშვიდობო პაუზებს ისევ ომები და აჯანყებები ცვლიდა. ისტორიაში ეს კონფლიქტი „მოროს ომების“ („მორო“, ანუ „მავრები“ — ესპ.) სახელით შევიდა.

1898 წელს, აშშ-ესპანეთის ომის შემდეგ, ფილიპინები ამერიკელების ხელში გადავიდა. ესპანელებთან შედარებით, მათ მოქმედების გაცილებით ხისტი მეთოდები აირჩიეს. ამერიკული წყაროების თანახმად, ფილიპინების დამორჩილებას 200 ათასი ადგილობრივი მშვიდობიანი მცხოვრების სიცოცხლე შეეწირა. საუბარია მხოლოდ მოკლულთაზე. დემოგრაფების შეფასებით, თანამდევმა ეპიდემიებმა და შიმშილმა კიდევ 800 ათასი ადამიანი იმსხვერპლა. ფილიპინელები კი მიიჩნევენ, რომ ამერიკული ექსპანსიის პერიოდში 1 400 000 ადგილობრივი დაიღუპა.

ომის მიმდინარეობისას ამერიკელები ცდილობდნენ, ფილიპინელთა ეროვნული მოძრაობა ესპანელების წინააღმდეგ გამოეყენებინათ, თუმცა მოგვიანებით დაბრუნდნენ დამოუკიდებლობაზე უარი უთხრეს. შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობით ცდილობდნენ, კუნძულ მინდანაოზე მუსლიმანური სულუს სასულთნოს მხარდაჭერა მოეპოვებინათ, მაგრამ, როდესაც წარმატებას მიაღწიეს, ძველ შეთანხმებებზე უარი თქვეს, ხოლო 1917-ში სასულთნო გააუქმეს. სამხრეთ ფილიპინების დაპყრობისას ამერიკელმა სამხედროებმა არნახული სისასტიკე გამოავლინეს. ასე მაგალითად, 1906 წელს კუნძულ სულუზე ერთ-ერთი ჩამქრალი ვულკანის კრატერში გახიზნული მებარძოლები, ქალებთან და ბავშვებთან ერთად, ტყვიამურქვევებით დახოცეს. აღმოთქვამულმა მარკ ტვენმა საგანგებო ანგარიში მოამზადა იმის თაობაზე, თუ როგორ გააშუქა ეს ეპიზოდი ამერიკულმა პრესამ. მიუხედავად იმისა, რომ 1913 წლისთვის ამერიკელებმა წინააღმდეგობის ძირითადი კერები ჩაახშეს, სისხლიანი ინციდენტები ფილიპინების სამხრეთში ამერიკული მმართველობის განმავლობაში და იაპონური ოკუპაციის წლებშიც გრძელდებოდა.

მეამბოხე სამხრეთის დამორჩილებაზე 1946 წლიდან ახალი, დამოუკიდებელი ფილიპინების ხელისუფლება ზრუნავდა. ის ხელს უწყობდა ქრისტიანების გადასახლებას ჩრდილოეთიდან სამხრეთში — საინტერესოა, რომ სწორედ ასე გადასახლდნენ კუნძულ მინდანაოზე ამუამინდელი პრეზიდენტის, როდრიგო დუტარტეს, მშობლები. დემოგრაფიული ექსპანსიის მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა, თუ 1900 წელს მუსლიმები მინდანაოს მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ, დღეს მათი ხვედრითი წილი 17%-მდე შემცირდა. დაპირისპირება ხელისუფ-

ლებსა და მუსლიმანურ ორგანიზაციებს შორის ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა; 1969 წლიდან დღემდე მან დაახლოებით 160 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. საბრძოლო მოქმედებები გარდამავალი უპირატესობით, ძირითადად, ძნელად მისადგომ რაიონებში მიმდინარეობს. სიტუაციას ართულებს ის, რომ დაპირისპირებაში, სამთავრობო ძალებისა და მუსლიმანი მებრძოლების გარდა, მონაწილეობენ მაოსტეტიც, რომლებიც ჩინეთის ინტერესების გამტარებლებად მიიჩნევიან. ხელისუფლება ანარმობებს მოლაპარაკებებს ორ ყველაზე მსხვილ მონაწილედგე დაჯგუფებასთან — „მოროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტთან“ და „მოროს ისლამურ განმათავისუფლებელ ფრონტთან“. სამშვიდობო დარეგულირების ქვაკუთხედი მუსლიმანებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისთვის ავტონომიის მინიჭება გახდა, მაგრამ არის სხვა, შეურთველი დაჯგუფებებიც, რომელთა მიზანს დამოუკიდებელი ილამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს. მათ შორის ყველაზე ცნობილია „აბუ-საიფი“, რომლის მოქმედება სისასტიკისა და „ალ ქაიდასთან“ კავშირის გამო მეამბოხეთა ორმა ზემოთ ნახსენებმა დაჯგუფებამ დაგმო, ხოლო აშშ-მა ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიტანა. 2014 წელს ამ დაჯგუფების ლიდერმა ისნილონ ტრტონი ჰაპილონმა „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის — აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ერთგულების ფიცი დადო. სწორედ „აბუ საიფისა“ და მისი მონათესავე დაჯგუფება „მაუტეს“ ბოვიკები უპირისპირდებიან დღეს სამთავრობო ძალებს მინდანაოზე, ქალაქ მარავთან, და „ისლამური სახელმწიფოს“ დროშებს აფრიალებენ.

ფილიპინების პრეზიდენტი როდრიგო დუტარტე კარგად იცნობს მინდანაოს პრობლემებს. ის ათი წლის განმავლობაში (1988-98) კუნძულის მთავარი საპორტო ქალაქის, დავაოს, მერი გახლდათ, შემდეგ — კონგრესმენი ამავე ოლქიდან, შემდეგ — ისევ მერი. პოპულარობა მას დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის ხისტი მეთოდებმა მოუტანა; მაგალითად, ინციდენტმა ბარში, სადაც, აკრძალვის მიუხედავად, ტურისტმა მაინც მოწია სიგარეტი. ბარის მეპატრონემ დუტარტეს დაურეკა, ის ბარში მივიდა და აიძულა ტურისტი, სიგარეტის ნაწივი შეეჭამა. ყველაზე მეტად სახელი დუტარტეს ნარკოტიკებთან ბრძოლამ გაუთქვა. მან არა მხოლოდ ააშენა ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციის

ფილიპინების ომი: ამერიკული კვალა



როგორ მოიხსნა ლტახტა მას შედეგ, რას კონფლიქტის ზონაში ფარდობით სტაბილურობას აღადგინს: ვაშინგტონის მიერ უფრო ლოიალური განცხადება თუ აქტიურად დაუპირისპირდება მას?



უმსხვილესი ცენტრი და დაუნიშნა შექმნა ყველას, ვინც ნარკოტიკებს თავი დაანება, არამედ შექმნა „სიკვდილის ესკადრონები“, რომლებიც ინსპროვოვანებს უსწორდებიან. მათი მოქმედების მასშტაბის გამო საკითხი გაეროში ჯერ კიდევ მაშინ განიხილეს, როდესაც დუტარტე დავაოს მერი იყო. მას შემდეგ, რაც ის პრეზიდენტი გახდა, ეს პრაქტიკა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდა. ამისთვის დუტარტეს მწვავედ აკრიტიკებენ, როგორც უფლებადამცველები, ისე აშშ-ის ადამიანისტრაცია, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, არ არის ვაშინგტონისა და ფილიპინების პრეზიდენტის დაპირისპირების მთავარი მიზეზი — „სიკვდილის ესკადრონები“ ფილიპინების პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მათ იყენებდნენ როგორც ფერდინანდ მარკოსი, ისე აშშ-ის ერთგული სხვა პრეზიდენტები, თუმცა თეთრი სახლი მათ ამის გამო თითქმის არ აკრიტიკებდა.

1898-1941 წლებში აშშ ფილიპინებს სრულად აკონტრო-

ლებდა, 1946 წლის შემდეგ კი ფორმალურად დამოუკიდებელ ქვეყანას მარიონეტი პოლიტიკოსებისა და სამხედროების მეშვეობით მართავდა. ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, ამერიკული ისტაბის გამო საკითხი გაეროში ჯერ კიდევ მაშინ განიხილეს, როდესაც დუტარტე დავაოს მერი იყო. მას შემდეგ, რაც ის პრეზიდენტი გახდა, ეს პრაქტიკა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდა. ამისთვის დუტარტეს მწვავედ აკრიტიკებენ, როგორც უფლებადამცველები, ისე აშშ-ის ადამიანისტრაცია, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, არ არის ვაშინგტონისა და ფილიპინების პრეზიდენტის დაპირისპირების მთავარი მიზეზი — „სიკვდილის ესკადრონები“ ფილიპინების პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მათ იყენებდნენ როგორც ფერდინანდ მარკოსი, ისე აშშ-ის ერთგული სხვა პრეზიდენტები, თუმცა თეთრი სახლი მათ ამის გამო თითქმის არ აკრიტიკებდა.

ვეტილება მიიღეს. ფილიპინების არმიის ხელმძღვანელებს ამერიკელებთან მჭიდრო კონტაქტი აქვს. 2001 წლიდან აშშ „აბუ საიფის“ წინააღმდეგ მებრძოლი სამხედროების წვრთნასა და აღჭურვას ახორციელებს; ვაშინგტონი ასრულებს მნიშვნელოვან როლს სამშვიდობო დარეგულირების პროცესშიც, რომელშიც ჩართულნი არიან მთავრობა და „ზომიერი“ მეამბოხეები. ამგვარად, ამერიკელები კონფლიქტის მართვის ბერკეტებთან ძალიან ახლოს იმყოფებიან. მათ ნამდვილად შეეძლოთ სასურველი გავლენის მოხდენა ფილიპინულ სამხედროებსა და პოლიტიკოსებზე ოპერაციის დაწყების მომენტში.

კონფლიქტის ესკალაცია საკმაოდ მძიმე დარტყმა იყო დუტარტესთვის, რომლის წინასაარჩევნო პროგრამაში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა. ბრძოლები გაჭიანურდა იმიტომაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მხარს უჭერს და აქტიურად ეხმარება მეამბოხებს. როდრიგო დუტარტე იძულებული გახდა, რუსეთში ვიზიტის დრო შეემცირებინა და მანილაში დაბრუნებულიყო. ჯერ კიდევ მოსკოვში მან ხელი მოახერხა ბრძანებულებას მინდანაოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ და ამას კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი უკავშირდება.

თავის დროზე დიქტატორი ფერდინანდ მარკოსი ძალიან ხშირად იყენებდა საგანგებო მდგომარეობას, როგორც რეპრესიების ხელშეწყობის ინსტრუმენტს. დღევანდელი კონსტიტუციით, მისი შემოღება მხოლოდ 60 დღით შეიძლება, ხოლო პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს მისი გაუქმების უფლება აქვს. როგორც კი დუტარტემ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, ფილიპინელი ლიბერალები, რომელთაც ვაშინგტონი მხარს უჭერდა, უჭერდნენ, რომ ეს ზედმეტად ხისტი ზომაა და პრეზიდენტი მას პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს. სიტუაცია კონფლიქტურ რეგიონში ძალიან რთულია, თუმცა ოპონენტები მაინც ცდილობენ, დუტარტეს ხელეობა შეუკარან.

როგო ექსპერტი ვარაუდობს, რომ ადგილობრივ მომხდარი ფილიპინების ურჩი პრეზიდენტის დასჯის ან გაფრთხილების მცდელობა იყო. ახლა ყველაზე საინტერესოა, თუ როგორ მოიქცევა დუტარტე მას შემდეგ, რაც კონფლიქტის ზონაში ფარდობით სტაბილურობას აღადგინს: ვაშინგტონის მიმართ უფრო ლოიალური განცხადება თუ აქტიურად დაუპირისპირდება მას?



ეს მართლაც ყველაფრისგან „თავისუფალი“ და თავისი კერძი მიხედვით სააკაშვილივით ავტომატურად განსწავლული ყოფილი პარლამენტარი ქალბატონი მოგზაურობის დაფინანსებას სთხოვს არა დედას ან ძმას, არამედ ტერიტორიულად მოქმედი და დაახლოებით 800 ათასი ლარიზ-ლატაკია, მილიონზე მეტი ლუკმაპურის ფულის საშოვნელად და სამშობლოში დარჩენილი ოჯახის დასახმარებლად უცხოეთშია გადახვენილი, საქართველოში დარჩენილთა უმეტესობა კი განკარგვის ვალეუბი იხრჩობა. ამას აკეთებს იმისთვის, რომ იმოგზაუროს აზიის ქვეყნებში და განიცადოს „ხალის-დაძაბულობა“...

«დაფინანსდა იზიარებულ» ნაწილობრივ ქალბატონის ვნებანი

მარიამ საჯიან სამოგზაუროდ ნასასვლელად ფულს მოსახლეობას სთხოვს

„დემოკრატია მმართველობის საშინელი ფორმაა, თუ დანარჩენ ფორმებს არ ჩათვლით“, — თქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა 1947 წელს. დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპი საყოველთაო სახალხო არჩევნებით ქვეყნის ხელისუფლების არჩევანია. დემოკრატიის პრინციპებს ნაწილობრივ საქართველოში კი, უკვე მერამდენე წელიწადია, ხალხი არჩევნების გზით ირჩევს ხელისუფლებას, მაგრამ იმედის თუ ოცნების ასრულებას, რომ უკეთესად იცხოვრებს, საშველი არ დაადგა.

ქართველი ხალხის ოცნების ასრულებას საშველი არ დაადგა იმიტომ, რომ ადამიანები ზეგონებულად ეკიდებიან ბიოგრაფიას, იდეებსა და სამოქმედო პროგრამას იმ დეპუტატობის კანდიდატისა, რომელსაც ირჩევენ. არადა, სწორედ ხალხის რჩეულთა ცოდნაზე, გამოცდილებაზე, ინტელექტზე, კეთილშობილებაზე, ზნეობაზე, თანამემამულეთა სიყვარულსა და პატრიოტიზმზე დამოკიდებული ქვეყნის წინსვლა-განვითარება. საქართველოში კი მეოთხედ, საუკუნეზე მეტია, სრულიად სანაიალმდე ვითარებაა — ხელი-ფული სათავეში მოდიან ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის მართვისთვის საჭირო არც ცოდნა აქვთ, არც გამოცდილება, არც ქვეყნისა და თანამემამულეების სიყვარულით გამოირჩევიან და მხოლოდ თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. ზოგი ამას მალულად, უზნაურად აკეთებს, ზოგი — თავხედურად და ცინიკურად...

2012 წელს ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობა იმედოვნებდა, რომ ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება სასიკეთოდ შეიცვლებოდა და, რაც მთავარია, აღდგებოდა სამართლიანობა — ქუჩაში ახალგაზრდების დახვრეტაში მონაწილეები და ბიზნესმენთა რეკეტირები, უსამართლო, ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიმღებნი და მათი ხელშეწყობნი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებოდნენ, წართმეული ქონება მფლობელებს დაუბრუნდებოდა, შეწყდებოდა ყოველივე ქართულისა და მართლმადიდებლურის წინააღმდეგ მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციების პარპაზი, მაგრამ დასავლეთისგან თავისუფლებული ე.წ. კოა-

ლიტიციის შედეგად ზემოაღნიშნული არათუ შესრულდა, არამედ ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა — ხალხის სისხლში ხელგასვრილი „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განაყოფები, აგრეთვე, „ქართული ოცნებაში“ გადაბარებული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავაც შესანიშნავად არიან და, თავიანთი დასავლელი პატრონების ნაქეზებით ძველებურად განაგრძობენ ქვეყნის ინტერესების სანაიალმდე მოსახლეობის დაცინვას...

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი მარიამ საჯიანა, რომელიც ამჟამად 26 წლისაა, საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი 21 წლისა გახდა. სწორედ საჯიანს, ამ ახალგაზრდას, „პერსპექტიული“ და „განათლებული“ გოგონას, საკანონმდებლო ორგანოში შესაყვანად შეცვალა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა კონსტიტუცია და დეპუტატის მინიმალური წლოვანება 21 წლამდე დასწია, ოღონდ ქალბატონ მარიამს, რომელსაც პარლამენტში იშვიათად ხედავდნენ, მინიმალის უფლებათა კომიტეტის საპარლამენტო კომიტეტის სხდომების გაცდენების მხრივ, ერთ-ერთი ლიდერი იყო. წლების განმავლობაში საკანონმდებლო საქმიანობით თავი არ გამოუჩენია და ხან აშშ-ში სწავლით იყო დაკავებული (თან პარლამენტარის ხელფასს იღებდა), ხან — კონკურს „მის ტრანსგენდერის“ ფიურიში მონაწილეობით. წინააღმდეგობა, რომ 2015 წელს ნაციონალ ქალბატონს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ბიძა მოლსკიმ უზრუნველყო: „რასაკვირველია, პოლიტიკაში წლოვანება არ არსებობს, მაგრამ არ შეიძლება გქონდეს იმის განცდა, რომ ესოდენ კარგ შე-

სახედავი მანდილოსანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში მონაწილეობს, არის, ელემენტარულად, უზრუნველი“, — განაცხადა ვოლსკიმ პარლამენტის სხდომაზე, როცა შენიშნა, რომ მისი სიტყვით გამოხსენიებული მარიამ საჯიანს სხვა დეპუტატს ესაუბრებოდა. თუმცა უზრუნველობა რამოსატანია იმასთან შედარებით, რაც ყოფილი დეპუტატმა რამდენიმე დღის წინათ ჩაიხატა, როდესაც თავისი ოცნების ასასრულებლად — მეგობრებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ წასასვლელად — სოციალურ ქსელში განაცხადებდა გამოაქვეყნა და საქართველოს მოსახლეობას თანხის შეგროვება სთხოვა:

„მე მოგიყვებით ერთ ამბავს: 4 ნიჭიერი ადამიანი შევიკრიბეთ — Travel Junkies 9 ქვეყნის მოვლა გადავწყვიტეთ, ვადა 3 თვე ავიდეთ და არასაკმარისი ბიუჯეტით ვინყებთ ოცნების ასრულებას. 2 კვირაში მივდივართ! ეს ერთი ამბავი ვრცელი იქნება. ერთგვარი „კუსტარული“, მაგრამ ზე-რეალური რეალითი-მოუ... მძაფრი ემოციებით, დაძაბულობებით, რთული ფიზიკური პირობებით, განსხვავებული გეოგრაფიული, კულტურული და სოციალური გარემოებით, ამ სამყაროში და საკუთარ თავში მოგზაურობით. მზად ვართ თავგადასავლისთვის, გადარჩენისთვის, ერთმანეთის გატანისთვის არ დაჭმისთვის, ხალხის-დაძაბულობისთვის და ამის თქვენთვის გაზიარებისთვის... ყველაფერი კი იმით იწყება, რომ მე სამსახური დავტოვე (გუშინ), ვტოვებ უძვირფასესს — შვილს, მეგობრებსაც, ჩემს კომუნასაც და კომფორტის ზონასაც. პო, კიდევ ყველაფერს ვტოვებ, 23 ცალ შეილს... ჩანთას ვალაგებ და მივდივარ. სომხეთი, ირანი, პაკისტანი, ინდოეთი, მინამარი (ალბათ, მინამა — ნ.კ.), ტაილანდი, მალაიზია, სინგაპური, ინდონეზია — მანტრასავით ვიმეორებთ, ბოლო დღეებია. და ვართ დიდ სამზადისში რეალური შოუს 4 მონაწილე, და აქ შემოკვარს ფანდრაიზინგის ზარმა!

ყველანაირი დახმარება და ხელის წაშველება გვინდა: სპონსორები — თითო ადამი-



ეს ის მარიამ საჯიანა, რომლის ოჯახის კოფინანსს სთხოვდა ქალბატონი მოგზაურობისთვის, მილიონობით თუ არა, ანაბრით ლარს იჯიანდა; ეს ის მარიამ საჯიანა, რომლის ძმა, ნიკოლ საჯიანა, «ნაციონალური მოქალაქის» 2012 წლის აპრილის 30 ათასი ლარი შესწირა...

ანისგან 2-3-5-10 ლარიანად. იმიტომ, რომ ხელში გვიჭირავს მხოლოდ სამოგზაურო მოტივაცია, ზუსტი გეგმა და მცირე თანხა, რაც მხოლოდ წასასვლელად მომზადებაში შეიძლება დაიხარჯოს. მოტივით-მოუ... მძაფრი ემოციებით, დაძაბულობებით, რთული ფიზიკური პირობებით, განსხვავებული გეოგრაფიული, კულტურული და სოციალური გარემოებით, ამ სამყაროში და საკუთარ თავში მოგზაურობით. მზად ვართ თავგადასავლისთვის, გადარჩენისთვის, ერთმანეთის გატანისთვის არ დაჭმისთვის, ხალხის-დაძაბულობისთვის და ამის თქვენთვის გაზიარებისთვის... ყველაფერი კი იმით იწყება, რომ მე სამსახური დავტოვე (გუშინ), ვტოვებ უძვირფასესს — შვილს, მეგობრებსაც, ჩემს კომუნასაც და კომფორტის ზონასაც. პო, კიდევ ყველაფერს ვტოვებ, 23 ცალ შეილს... ჩანთას ვალაგებ და მივდივარ. სომხეთი, ირანი, პაკისტანი, ინდოეთი, მინამარი (ალბათ, მინამა — ნ.კ.), ტაილანდი, მალაიზია, სინგაპური, ინდონეზია — მანტრასავით ვიმეორებთ, ბოლო დღეებია. და ვართ დიდ სამზადისში რეალური შოუს 4 მონაწილე, და აქ შემოკვარს ფანდრაიზინგის ზარმა!

გასპონსორებთ და ცალკე შესაბამის პოსტში მოგახსენებთ“, — დაწერა საჯიანამ (მარიამ საჯიანის ციტირებისას სტილი ყველგან დაცულია). ეს ის მარიამ საჯიანა, რომელიც თითქმის 1 წლის განმავლობაში არ გამოცხადებულა პარლამენტში, დეპუტატის ხელფასს კი დანაშაულობა — 4000 ლარზე მეტს — ყოველთვიურად იღებდა. ეს ის მარიამ საჯიანა, რომელსაც საქართველოს მოქალაქეებმა სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვუხადოთ სოლიდური პენსია — 560 ლარი (სხვათა შორის, ქვეყნის ბიუჯეტს ყოფილი დეპუტატების შენახვა წელიწადში 4,5 მლნ ლარზე მეტი უჯდება).

ეს ის მარიამ საჯიანა, რომლის ოჯახის კომპანია ცალკედ როკონკურსებში გამარჯვების შემდეგ სამეგრელოში გზებს აგებდა და შესრულებული სამუშაოებისთვის, მილიონობით თუ არა, ასიათასობით ლარს იჯიანდა; ეს ის მარიამ საჯიანა, რომლის ძმა, ნიკოლ საჯიანა, „ნაციონალური მოძრაობის“ 2012 წლის აპრილის 30 ათასი ლარი შესწირა, ხოლო დედა — ნაზი არონ-

ია პრემიერმინისტრის ყოფილი მოადგილე, ზუგდიდის სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ყოფილი უფროსი, საქართველოს მე-2 (1990-1992) და მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო...

მარიამ საჯიანამ გია ვოლსკის ასე უპასუხა:

„საქართველოს დამსახურებული უზრუნველი ვარ მე, ვოლსკიმ ვგრე თქვა და აბა არა?! მე უფრო კორექტულად ვეტყვი, რომ მისი მხრიდან ჩემ მიმართ წარმოქმნილი სიტყვები არის ეიჯიზმი და სექსიზმი (წერტილი). ისე კი „იზიარდით“ დაემართა ბატონ ვოლსკის... იზიარდ, ავტარები არიან სექსისტები და ეიჯისტები. მომარჯვონ უცხო სიტყვათა ლექსიკონი და გაიგებენ, რაც ვამბობ, სანამ მართლად უზრუნველობაზე და ცილისწამებაზე გადმოვლენ, როცა არც ესმით, რას ვამბობ. სიმართლე ისაა, რომ თუმცა შინაარსი კი შეიძლება გაიგონ, მაგრამ აზრობრივად ვერასდროს ჩანდებიან, რომ მათზე ასაკით უმცროსი ქალი იგივე უფლებების (და მოვალეობების) მატარებელია, რომ მას აქვს უფლება, გამოთქვას მათგან განსხვავებული აზრი, იყოს თავისუფალი ქმედებებში, მოსაზრებებსა და გამოხატვებში.

და საერთოდც — იყოს თავისუფალი, თავის თავის უფალი“.

ეს მართლაც ყველაფრისგან „თავისუფალი“ და თავისი კერძი მიხედვით სააკაშვილივით აშშ-ში „უსასვლელად განსწავლული“ ყოფილი პარლამენტარი ქალბატონი მოგზაურობის დაფინანსებას სთხოვს არა დედას ან ძმას, არამედ ტერიტორიულად მოქმედი ქვეყნის მოსახლეობას, რომელთა შორის ათათასობით ლტოლვილი და დაახლოებით 800 ათასი ლარიზ-ლატაკია, ხოლო მილიონზე მეტი ლუკმაპურის ფულის საშოვნელად და სამშობლოში დარჩენილი ოჯახის დასახმარებლად უცხოეთშია გადახვენილი, საქართველოში დარჩენილთა უმეტესობა კი ბანკების ვალეუბი იხრჩობა. ამას აკეთებს იმისთვის, რომ იმოგზაუროს აზიის ქვეყნებში და განიცადოს „ხალის-დაძაბულობა“...

ორიოდე დღის წინათ კი „ხალის-დაძაბულობის“ მოსურნე მარიამ საჯიანამ სოციალურ ქსელში ეს განაცხადება გამოაქვეყნა:

„ზუსტად ვიცი, რომ სწორ რამეს ვაკეთებ, უზუსტესი გადაწყვეტილებაა: ემოციურად და რაციონალურად. ზუსტად ვიცი, რომ სირცხვილი არ არის, ადამიანებს სთხოვ კარგი საქმის კეთებაში დახმარება. ვერო უკაცრავად ვარ და არ მაქვს...ამ გვარი სამოგზაურო პროექტებისთვის ასეთი ფანდრაიზინგი ძალიან გავრცელებული პრაქტიკაა მთელს მსოფლიოში“.

არც „პერო“ აქვს და არც სინდისი ამ მართლად „დაფინანსდა იზიარებულ“ ყოფილ დეპუტატს — „ნაციონალური მოძრაობის“ ნამდვილ სახეს...

ნიკა კორინთელი

* ფანდრაიზინგი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ფულის ან სხვა სახის ნებაყოფლობით შემოწირულობას, რომელიც მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას.
**საქონიერი — წინასწარ გამოყვანება ინფორმაციის არადაცის დეტალებზე, რომლებსაც შეიძლება შეიტყუონ, რა მოხდება; მაგალითად, როგორ დასრულდება ფილმი.



„სამთავროვო აბანტაჟი ჩვენ წინააღმდეგ ჯაშუშობაზე: კითხვობა ჩვენს საინფორმაციო გზავნილებს, გვითვალთვალება გადაადგილებას, ჩვენი გიომეტრიული მონაცემები შეტანილია მონაცემების სამთავროვო ბაზაში, გვჩხრეკენ აეროპორტებსა და გზებზე. ამერიკა არასოდეს იქნება უსაფრთხო, სანამ ჩვენი ხელისუფლება განაგრძობს ძარცვას, გაკოტრებას, მკვლელობებს, არასტაბილურობის შექმნას, ამოხსნების დაფინანსებას, მასობრივი განადგურების იარაღის დაგროვებას და მსოფლიოს გაკონტროლებას მცდელობას.“

სახელმწიფო და სისხლიანი ფული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 30 მაისს გამართულ ღონისძიებაზე სახელწოდებით „დასავლური საფრთხეები საქართველოსთვის“ სამხედრო ექსპერტმა ტრისტან ნითელაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა ამერიკის საელჩოს მძევალია და ამერიკის ელჩი საქართველოს სამინირო საქმეებში უხეშად ერევა: „ამერიკის ელჩმა იმ დონეზე ითავებდა, პანკისის ხეობაში ავიდა და სირიიდან დაბრუნებულ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლ ტერორისტებს შეხვდა. რისთვის? იმისთვის, რომ კერებს ქმნის იქ“, — განაცხადა ნითელაშვილმა და დასძინა, რომ უნდა მოხდეს იმ პროცესებისა და ვალდებულებებისთვის ხელის შეშლა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას სავიზო რეჟიმის გაუქმების გამო აქვს ევროპული ქვეყნებისა და აშშ-ის წინაშე აღებული, ხოლო რუსეთთან პირდაპირი დიალოგი უნდა დაიწყოს. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კელიმ კი ტრისტან ნითელაშვილის ბრალდებას ასე უპასუხა: „პანკისის ხეობაში ვიყავი ერთხელ და ისიც საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილთან ერთად. ალბათ, სულ რაღაც, ნახევარი საათის განმავლობაში ვიმყოფებოდით იქ. მიმართა, რომ საქმიანობის გამჭვირვალობა და საჯაროობა არის უმნიშვნელოვანესი. ჩემი საქმიანობა არის გამჭვირვალე, საჯარო და გაშუქებული. მე მხარს ვუჭერ საქართველოს რეფორმების პროცესს, საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და საქართველოს განვითარებას. საზოგადოდ, ჩემი მთავრობა ებრძვის ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ნებისმიერ გამოვლინებას.“

იმის წარმოსაჩვენად, როგორ ებრძვის აშშ-ის მთავრობა „ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ნებისმიერ გამოვლინებას“, ვთავაზობთ ცნობილი ამერიკელი იურისტისა და პუბლიცისტის, რეზერვორდის სახელობის ინსტიტუტის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის — **ჯონ უ. უაიტჰეადის** სტატიას „ამერიკული ტერორის ბატონობა: ხალხი იმის იმას, რასაც თვსავს“ (**America's Regn of Terror: A Nation Reaps what it Sows**), რომელიც რეზერვორდის სახელობის ინსტიტუტისა და საინფორმაციო-ანალიტიკური ინტერნეტრესურს **Global Research**-ის ვებგვერდებზე ამა წლის 16 მაისს გამოქვეყნდა. ამ სტატიის ნაკითხვის შემდეგ დარწმუნდებით, რომ ბრალდება, რომელიც ტრისტან ნითელაშვილმა წაუყენა აშშ-ის ელჩს, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რამაც უ. უაიტჰეადი აშშ-ის ხელისუფლებას ადანაშაულებს:

„საგარეო საფრთხეებისგან დაცვის საშუალებები ყოველთვის იყო ქვეყნის შიგნით ტერორიზმის იარაღი“, — ამბობდა აშშ-ის მე-4 პრეზიდენტი **ჯეიმს მაქდონალდი**.

* ვინ შექმნა მანვან პროგრამა, რომელმაც მსოფლიოში ათასობით კომპიუტერი დააზიანა და რომლის გასაუფლებლადაც ჰაკერები გამოსასყიდის ითხოვენ? — **აშშ-ის მთავრობა**.

* ვინ არის შავ ბაზარზე კიბერარაღის უდიდესი შემსყიდველი და ვინ იმარაგებს კიბერარაღს? — **აშშ-ის მთავრობა**.

ნაა იარაღის ყველაზე დიდი ექსპორტიორი მსოფლიოში? — **აშშ**.

* რომელია ის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა? — **აშშ**.

* როგორ შექმნა 1980-იან წლებში **სადამ ჰუსეინმა** ერაყში ტანკების, თვითმფრინავებისა და რაკეტების უზარმაზარი არსენალი? — **აშშ-ის მთავრობის დახმარებით**.

* ვინ უზრუნველყო უსამა **ბინ ლადენი** და „ალ ქაიდა“ „გულუხვი ფარული დაფინანსებითა და უმადლესი დონის საბრძოლო ტექნიკით“? — **აშშ-ის მთავრობა**.


* რომელ ქვეყანას აქვს უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება პროვოკაციების მოწყობისა და მოწყვლადი პირების მიმართ, რომლებსაც კვებავენ პროპაგანდით, ნოუ-ჰაუთი, აძლევენ იარაღს, რათა გადააქციონ ტერორისტებად, შემდეგ კი აპატიმრებენ ტერორიზმთან ბრძოლის გულდასმით დაგეგმილი ოპერაციების ჩარჩოებში? — **აშშ-ს**.

* საიდან აქვს ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ ამდენი სახეობის მიმზადებული იარაღი? — **აშშ-ის მთავრობისგან**.

* რომელ ქვეყანას აქვს თავის მოქალაქეებზე სახიფათო იარაღისა და ტექნოლოგიების საიდუმლო ტესტირების ისტორია? — **აშშ-ს**.

* ხვდებით, რაზე ვლაპარაკობ? — **აშშ-ის მთავრობა ჩვენ არ გვცხადებს ტერორიზმისგან. აშშ-ის მთავრობა ქმნის ტერორიზმს; ის, არსებითად, ტერორიზმის წყაროს წარმოადგენს**.

«ამერიკული ტერიტორიის ბატონობა: ხალხი იმის იმას, რასაც თვსავს», ანუ როგორ უჭერს მხარს იან კელის მთავრობა ტერორიზმს



ცვის სისტემას, საკომუნისტო ინფრასტრუქტურას, ლოჯისტიკასა და სახელმწიფო დანაშაულებებს მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში. ამ ხნის განმავლობაში მთავრობამ არაერთი გაფრთხილება მიიღო საფრთხის არსებობაზე, მაგრამ მათ ყურადღება არ მიაქცია.

ეს ტენდენციად იქცა იმისგან დამოუკიდებლად, რომელი პარტია აკონტროლებს თეთრ ხალხს; მთავრობა ქმნის საფრთხეებს, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცის, რა შედეგები შეიძლება მოუტანოს საზოგადოებას და შემდგომ, არ აღიარებს რა იმ როლს, რომელიც ითამაშა ამ კონკრეტული საფრთხის გაფრთხილებაში მოსახლეობის წინააღმდეგ, კიდევ დამატებით ითხოვს უფლებამოსილებებს „ჩვენი ხალხის“, საფრთხისგან დაცვის მიზნით.

თუმცა **ქლირანი ამა ძვე-ყნისანი მონადინაბული** არ არიან, რომ ჩვენ თავი უსაფრთხოდ ვიგრძნობთ. მათ სურთ, გვიპოვიან და მზად ვიყუთ ჩვენი ყველა თავისუფლების განსაცვლელად მათ მოწვევებით დაპირებაზე უსაფრთხოების შესახებ.

ამერიკელი ხალხი იხდის ხარბი მთავრობის გაუმაძღრობისა და ძალაუფლებისკენ სწრაფვის საფასურს. შედეგად ვიტანჯებით ჩვენ.

ჩვენ გვაიძულებენ ტრილიონობით სისხლიანი ფულის გადახდას სამხედრო კომპლექსისთვის, რომელიც უსინდისოდ კლავს. ნელში ვიხრებით ჩამომოლილი ინფრასტრუქტურის, გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ქალაქებისა და შერყეული ეკონომიკის სიმძიმით იმ მომენტში, როცა ჩვენი გადასახადები იხარჯება მდიდრული სამხედრო ობიექტების ასაშენებლად და სხვა ქვეყნების ეკონომიკების მხარდასაჭერად.


ჩვენ ნაგმართვას ჩვენი თავისუფლებაზე.

სამთავრობო აგენტები ჩვენ წინააღმდეგ ჯაშუშობენ: კითხვობენ ჩვენს საინფორმაციო გზავნილებს, გვითვალთვალებენ გადაადგილებებისას, ჩვენი ბიომეტრიული მონაცემები შეტანილია მონაცემების სამთავრობო ბაზაში, გვჩხრევენ აეროპორტებსა და გზებზე.

ამერიკა არასოდეს იქნება უსაფრთხო, სანამ ჩვენი ხელისუფლება განაგრძობს ძარცვას, გაკოტრებას, მკვლელობებს, არასტაბილურობის შექმნას, ამბოხებების დაფინანსებას, მასობრივი განადგურების იარაღის დაგროვებასა და მსოფლიოს გაკონტროლების მცდელობას.

მოამზადა ნიკა კორინთაძე

«ქიბეროვი. ტერიტორიის ბიოლოგიური და ქიმიური შეტევები. სწრაფი ატომური შეიარაღებისკენ. თვალთვალი, ნაკოტიკები. მაკინავლიზით განსჯადული აშშ-ის მთავრობა თავისი ტოტალური კალაუფლების გასაფართოებლად თითქმის ყველა შემთხვევაში თვსავს ტერიტორიის მაკინავლს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე»



თხის შედეგად, რომელიც ამა თუ იმ სახით შექმნილი იყო ჩვენი მთავრობის მიერ.

ქიბეროვი, ტერიტორიის ბიოლოგიური და ქიმიური შეტევები, სწრაფი ატომური შეიარაღებისკენ, თვალთვალი, ნაკოტიკები — მაკინავლიზით განსჯადული აშშ-ის მთავრობა თავისი ტოტალური კალაუფლების გასაფართოებლად თითქმის ყველა შემთხვევაში თვსავს ტერიტორიის მაკინავლს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ჩვენ საქმე არ გვაქვს სახელმწიფოსთან, რომელიც არსებობს იმიტომ, რომ ემსახუროს თავის ხალხს, დაცვას

მისი თავისუფლება და უზრუნველყოფის მისი ბედნიერება. ეს ძალიან ჰგავს მაქინავლიზებს და უჯერებელი მასშტაბით ამოქმედებული ემპაქისეული პროგრამისა, რომლის ერთადერთი დანიშნულება არის, მუდმივად (და მომგებიანად) შეინარჩუნოს ძალაუფლებისთვის საჭირო სტრუქტურები.

საუბარია იმაზე, რომ აშშ-ის მთავრობა მრავალი წლის განმავლობაში ქმნის იმას, რასაც ერთმა წყარომ დახვერვით და უნდა კიბერარმია, რომელსაც შეტევის უნარი აქვს. ამ პროგრამის ჩარჩოში **სამთავროვო დანაშაულებები ატომურ ძალაზე, ვირუსებსა და სპაჰერო ინსტრუმენტებს**

ტაბს, რომელთა დახმარებითაც შეუძლიათ „მოიპარონ საფინანსო ანგარიშების პაროლები, სმარტფონი გადააქციონ მოსასმინ მოწყობილობად ან, STUXNET-ის (კომპიუტერის ვირუსი) შემთხვევაში, სმარტფონი განაწიროს ციფრულ ატომურ ელემენტებს, რომელთა დახმარებითაც შეიძლება შეიქმნას, რომელიც შეიქმნება, რომ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო პასუხისმგებელია ან ბოლო საფრთხეზე — ვირუსი WANNAGRY-ზე თუ WANNA DECRYPTOR-ზე, რომელიც დააზიანა 57 ათასი კომპიუტერი მსოფლიოში და აწვდის ჯანდა-

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 1990 წელს აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტი 5,8 ტრილიონი დოლარი იყო (მსოფლიოს მშპ-ს 26,1%), იაპონიის — 2,3 ტრილიონი (10,6%), გერმანიის — 1,6 ტრილიონი (7,3%), იტალიის — 1,1 ტრილიონი (5,1%), ჩინეთის — 1,1 ტრილიონი (5%), საფრანგეთის — 1,1 ტრილიონი (5%), ბრაზილიის — 1,0 ტრილიონი (4,5%), ინდოეთის — 997 მლრდ (4,5%), დიდი ბრიტანეთის — 979 მლრდ (4,4%). გაეროს ექსპერტების ვარაუდით კი, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სიმძლავრე მსოფლიოს ეკონომიკის 14,2%-ს შეადგენდა, ანუ ამ მაჩვენებლით იაპონიას თითქმის 1,5-ჯერ აღემატებოდა, გერმანიას — 2-ჯერ, ჩინეთს კი — 3-ჯერ.

ვინ ვის აჭყავდა საბჭოთა კავშირში და ვინ იზარალა ყველაზე მეტად მისი დაშლით

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ბევრისთვის, მით უმეტეს, ახალგაზრდა თაობისთვის გაუგებარია, რატომ დაიშალა ეს უზარმაზარი და მძლავრი სახელმწიფო, რამ გამოიწვია „მომხე“ რესპუბლიკების ცენტრიდანული სწრაფვა, დისტანცირება „კრემლის მონობის უღლიდან“.

1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკიდან რამდენიმეში, მათ შორის, საქართველოში, ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში აზერითდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა — ადამიანებს შთააგონებდნენ, ყველაზე მეტს ჩვენ ვმუშაობთ, ჩვენ ვაჭმევთ დანარჩენ საბჭოთა კავშირს, სხვა რესპუბლიკები კი თავზე გვასხედან, როგორც კი მოვიშორებთ ამ მუქთახორებს, ევროპელებსა და ამერიკელებს ცუდად არ ვიცხოვრებთო.

მას შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა და შეიძლება შედეგების გაანალიზება — დღეს უკეთესად ცხოვრობენ თუ არა სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს?

დიადი და მკვლარი

თავისი ისტორიის დასასრულსაც კი საბჭოთა კავშირი, მიუხედავად დიდი საშინაო პრობლემებისა, მაინც მძლავრი სახელმწიფო იყო. 1990 წელს სსრკ-ის მთლიანი შიგა პროდუქტი ტრილიონ საბჭოთა მანეთს უტოლდებოდა, ხოლო ოფიციალური კურსით 1 ამერიკული დოლარი 59 კაპიკი ღირდა. აქედან გამომდინარე, სსრკ-ის ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტი 1,7 ტრილიონი დოლარი იყო. თანაც საბჭოთა მანეთის თავისუფლად კონვერტირება არ ხდებოდა. მსოფლიოს ეკონომიკაში მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელს მსყიდველუნარიანობის მიხედვით ანგარიშობენ იმ შესწორებით, რომ 1 დოლარით, მაგალითად, ჩინეთში 1,5-ჯერ მეტი პროდუქტი შეძენა შეიძლება, ვიდრე აშშ-ში, ხოლო შვეიცარიასა და ნორვეგიაში — 1,5-ჯერ ნაკლებს.

გაეროს ექსპერტების ვარაუდით კი, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სიმძლავრე მსოფლიოს ეკონომიკის 14,2%-ს შეადგენდა, ანუ ამ მაჩვენებლით იაპონიას თითქმის 1,5-ჯერ აღემატებოდა, გერმანიას — 2-ჯერ, ჩინეთს კი — 3-ჯერ.

საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკაში მიიჩნევენ, რომ, თუ სსრკ-ის უზარმაზარი სიმძლავრეიდან თავიანთი წილს ნაიღებდნენ, ისეთ

პატივისცემად მდიდარ ქვეყნებად იქცეოდნენ, როგორც არის შედეგით ან ავსტრია. ასე ჩანდა ციფრებით. მაგალითად, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკა მოსახლეობის ერთ სულზე ფონდის ბაზოვების, ძვანსხილის მოპოვების, ხორბლის მოყვანისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით ევროკავშირის ლოკომოტივის, გერმანიის ფაბრიკის რესპუბლიკის, ანალოგიური მაჩვენებლებს ტოლი იყო.

ამიტომ უკრაინის ელიტამ (და არა მხოლოდ) გადაწყვიტა, რომ ასეთი მდიდარი საბჭოთა მეკვიდრებით ჩემოდანი უნდა ჩაეღებინა და საბჭოთა კავშირიდან წასულიყო.

ახლა სად არის უკრაინა და სად — გერმანია? **ყაზახეთსა და უზბეკეთში** აქცენტი კეთდებოდა ხორბლისა და ბამბის მოყვანაზე, **ლიტვასა და ლატვიაში** — ელექტრონიკის განვითარებაზე. იყო დრო, როცა ლატვიური რადიომიმღები „ვეფი“ და ლიტვიური მაცივარი „სანი-გე“, აგრეთვე, ტელევიზორი „შილიალისი“ საუკეთესოდ მიიჩნეოდა სსრკ-ში. შაქარი, ძირითადად, უკრაინული იყო, „შპროტი“ — რიგის, კარტო-

ფილი — ბელარუსის, ღვინო და ჩაი — ქართული.

იმჟამინდელი რიგითი უზბეკის, ესტონელის თუ ლატვიელის წარმოდგენით, რუსებს ჰქონდათ მხოლოდ ტანსაცმელი, ზარბაზნები, წყალქვეშა ნავები და ატომური ბომბები და კიდევ ავტომობილი „ჟიგული“, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ეს ავტომობილი სინამდვილეში იტალიური იყო, რუსების მიერ „გაფუჭებული“.

გერმანელები და მუშათა სტრუქტურა

საბჭოთა იდეოლოგიისთვის უკიდურესად საჭირო იყო ცხოვრების დონის გათანაბრება ყველა რესპუბლიკაში, რომლებშიც ეკონომიკური მონაცემები თავდაპირველად ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ამიტომ საჭირო იყო უზარმაზარი კაპიტალდაბანდებები. ამას ემატებოდა სუფთა პოლიტიკური მომენტებიც. მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ცდილობდნენ, შეექმნათ თავისებური „სოციალისტური შიტრინა“. იმ მოსაზრების გამო, რომ, მაგალითად, ერევანსა თუ კომინიოვში ცხოვრების დონე არანაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე მოსკოვსა და ლენინგრადში იყო, ჯერ კიდევ 1960-70-იან წლებში შეიქ-

მნა განსხვავება შრომასა და ანაზღაურებას შორის, ამ განსხვავებამ პიკს სსრკ-ის არსებობის ბოლო წლებში მიაღწია.

გერმანული თანასწორობის ფონე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უფრო კარგად ცხოვრობდნენ, ვიდრე ამჟამინდელი ცენტრალური რეგიონები — რუსეთში, სადაც მაღალია თითქმის ყველა მხარეში ცხოვრების დონე. ამიტომ გამოვეყენო!“. არადა, რუსეთში გამოშვებული 3 მანეთიდან 2-ს თვითონ იტოვებდა, ერთს კი საერთო საკავშირო ყულისაში ატარებდა, სწორედ ამ „მასაში მანეთის“ წყალობით ცხოვრობდნენ მოქმედი რესპუბლიკაში უფრო კარგად.

ახლანდელია, რომ საბჭოთა კავშირის მშპ-ში რუსეთის წილი 60,33% იყო, უკრაინის — 17,8%, უზბეკეთის — 2,7%, ყაზახეთის — 6,8%, ბელარუსის — 2,7%, აზერბაიჯანის — 1,9%, ტაჯიკეთის — 0,6%, ყირგიზეთის — 0,5%, თურქმენეთის — 1%, საქართველოს — 1,2, მოლდოვის — 0,7, სომხეთის — 0,4, ლიტვის — 1,7, ლატვიის — 1, ესტონეთის — 0,7.

საბჭოთა კავშირის დაშლამ მტკიცებულად დარტყა რუსეთის ეკონომიკას, რომელსაც თითქმის ყველა დარგში შეექმნა პრობლემები, ანალოგიური ვითარება იყო საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, თუმცა რუსეთში მოახერხა ეკონომიკის განვითარება და იქ 2015 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-მ 25,4 ათასი დოლარი შეადგინა (მსოფლიო ბანკის მონაცემებით), რაც 1,45-ჯერ მეტია იმ მაჩვენებელზე, რომელიც სსრკ-ის დაშლამდე ჰქონდა. საქართველოს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, საქართველოს სტატისტიკის ერთეული საშუალო მონაცემებით, 2016 წელს 3852,5 დოლარი იყო. უკრაინის ამჟამინდელი მშპ კი 2052 დოლარია („ვიკიპედია“), ლიტვის — 14 210, ლატვიის — 13 618, ესტონეთის — 19631, სომხეთის — 3037, აზერბაიჯანის — 6794, ყაზახეთის — 10 511, ბელარუსის — 17 700.

ამ ციფრებით კარგად ჩანს, ვინ ვის „აჭმევდა“ საბჭოთა კავშირში და მისი დაშლის შემდეგ ვინ იზარალა ყველაზე მეტად.

5 მითი საბჭოთა კავშირზე

მითი №1: საბჭოთა ადამიანებს მცირე ხელფასი ჰქონდათ

ბევრ ადამიანს სურს, დაიჯეროს, რომ თვითონ გაცილებით უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე მისი წინაპრები ცხოვრობდნენ, მაგრამ ფაქტებიც გასათვალისწინებელია: საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო და იმავდროულად

რესპუბლიკა	ნაკრები*	მონეპრები**	ბალანი
რუსეთი	17,5	11,8	+5,7
ბელარუსი	15,6	12	+3,6
უკრაინა	12,4	13,3	-0,9
ყაზახეთი	10,1	17,7	-7,6
უზბეკეთი	6,6	17,4	-10,8
ლიტვა	13	23,3	-10,3
აზერბაიჯანი	8,3	16,7	-8,4
საქართველო	10,6	41,9	-31,3
თურქმენეთი	8,6	16,2	-7,6
ლატვია	16,5	26,9	-10,4
ესტონეთი	15,8	35,8	-20
ყირგიზეთი	7,2	11,4	-4,2
მოლდოვა	10	13,4	-3,4
სომხეთი	9,5	29,5	-20
ტაჯიკეთი	5,5	15,6	-10,1

* ასეთი იყო მშპ მონეპრების ერთ სულზე (ათასი დოლარი).
** ამ თანხის საშუალო და პროდუქტის მონეპრები რესპუბლიკები (ათასი დოლარი).




საბჭოთა კავშირის დაშლამ მტკიცებულად დაარსდა რუსეთის ეკონომიკას, რომელსაც თითქმის ყველა დარგში შეეძინა პრობლემები, ანალოგიური ვითარება იყო საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, თუმცა რუსეთმა მოახერხა ეკონომიკის განვითარება და იქ 2015 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-მ 25,4 ათასი დოლარი შეადგინა (მსოფლიო ბანკის მონაცემები), რაც 1,45-ჯერ მეტია იმ მაჩვენებელზე, რომელიც სსრკ-ს დაშლამდე ჰქონდა. საბჭოთაულს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, საბჭოთაულს სტატისტიკის ერთეული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს 3852,5 დოლარი იყო. უკრაინის ანალოგიური მშპ კი 2052 დოლარია („ვიკიპედია“), ლიბიის — 14 210, ლატივიის — 13 618, ესტონეთის — 19631, მოსხეთის — 3037, აზერბაიჯანის — 6794, ყაზახეთის — 10 511, ბელარუსის — 17 700.

მით ვარსება, ექსპერტთა გაანგარიშებით, 1990-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობის 80%-ს იმაზე მეტი ხელფასი ექნებოდა, ვიდრე ამჟამად აქვს.

1950-იანი წლებიდან საბჭოთა ადამიანების შემოსავლები განუხრელად იმატებდა და 1980-იანი წლების ბოლოს ხელფასი საშუალოდ 150-300 მანეთი იყო. საბჭოთა ეპოქის დასასრულს 1 მანეთით გვირგი რამის შეძენა შეუძლებელი იყო — მანეთითა, 50 სასკოლო რვეულის ან 10 კვ კარტოფილის, ან კიდევ: 5 პურის ან ტრამპანის 33 ბილეთის (კაპიკიც კი დაბრუნებდა), 20 კვ პომიდვრის, კინოთეატრის 4 ბილეთის და ა.შ. მანეთი „სარატოვი“ 200 მანეთი ღირდა, „მინსკი“ (ოქსაბერიანი) — 550 მანეთი, სკამი — 11 მანეთი და ა.შ. ისიც აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში უმუშევრობა არ იყო; ადამიანი, რომელიც არ იმუშავებდა, კანონით ისჯებოდა.

მითი №2: საბჭოთა კავშირში მადონის დონე ქალიან დაბალი იყო

საბჭოთა დროინდელ მედიცინაზე დღემდე კამათობენ. არადა, ბევრსამედიცინო დარგში საბჭოთა სპეციალისტები საუკეთესო იყვნენ მსოფლიოში. მაგალითად, ოფთალმოლოგიაში, კარდიოქირურგია-



70-იანი წლების თბილისი

ში, თერაპიაშიც. რა თქმა უნდა, იყო ჩამორჩენაც, მაგრამ უფასო სამედიცინო მომსახურება დიდი შეღავათი იყო საბჭოთა ადამიანისთვის.

მითი №3: სსრკ-ში განათლება დაბალი ხარისხის იყო

განათლება სსრკ-ში ყველასთვის ხელმისაწვდომი და მასობრივი იყო, თანაც უფასო. არსებობდა დამატებითი განათლების მიღების ქსელი — სამუსიკო და სახელოვნებო სკოლები, ცეკვის წრეები და სასპორტო სექციები. ბავშვ-

ებს ზაფხულობით უფასოდ შეეძლოთ დასვენება კურორტებზე მონყობილ პიონერთა ბანაკებში. სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში უფასო იყო, ხოლო განათლების მაღალ ხარისხზე, მაგალითად, საქართველოში, მიუთითებს იმ სპეციალისტთა რაოდენობა, რომლებმაც განათლება საბჭოთა პერიოდში მიიღეს და დღეს უცხოეთის ნამყვან სამედიცინო ცენტრებში მოღვაწეობენ. აღსანიშნავია, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის განათლების ხარისხი, რომელიც იყო, 5 წლის შემდეგ რომელიც დადგინდა, იყო უმაღლესი.

დაბოლოდა პერიოდისა და ამჟამინდელი საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლების ხარისხზე მეტყველებს მხლახან გამოქვეყნებული მაჩვენებლებიც: 2017 წლის საატესტატო გამოცდებზე 11 ათასი მოსწავლე ჩაიჭრა.

მითი №4: საბჭოთა კავშირში ხელმძღვანელები და კულტურის დამცემების სა-მსახურში იმდენი და დაბალი დონის იყო

არადა, სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ისეთი კინემატოგრაფიული შედეგები, როგორებიც არის: „ომი და მშვიდობა“ („ოსკარი“ საუკეთესო უცხოურენოვანი ფილმისთვის 1969); „დერსუ უზა-ლა“ („ოსკარი“ — 1975 წ.); „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ („ოსკარი“ — 1981 წ.); „სარკე“; „სამსახურებრივი რომანი“, „ჯარისკაცის მამა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი

მთები“, „ფეოლა“, „რეკორდი“, „ქვევრი“ და სხვ. საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები — აკაკი სორბა, სერგო ზაქარიაძე, ერეკლე მანუჩარაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ივლიტა ხვიჩია, ოთარ მელვიანი-თუხუცაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სანილა თაყაიშვილი, სოფიო ჭიაურელი და სხვ. საბჭოთა პერიოდში დაიდგა სპექტაკლები: „ჭინჭრაქა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „მეფე ლირი“, „ურიელ აკოსტა“ და სხვ.

დღეს კი ვის და რას უყურებს ქართველი საზოგადოება? — თურქულ და ინდურ უგემოვნო სერიალებსა და „ჩემი ცოლის დაქალებს“.

საბჭოთა კავშირში შექმნეს თავიანთი ლიტერატურული შედეგები ბალატიონ ტაგორომ, მუსრან მატაზარიანმა, მურმან ლეზანიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, ნოდარ დუმბაძემ, ჭავჭავაძე აბრამიძემ, გურამ დოჩინაძემ, ოთარ ჭილაძემ და სხვებმა.

სწორედ საბჭოთა პერიოდში შექმნეს გამოჩენილი ქართველი მხატვრები: ლადო გუდიაშვილი, ელინა ხვლედიანი, დავით კაკაბაძე, მირაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუქილი ნიჭის სრულად რეალიზება.

მითი №5. საბჭოთა სოციალისტური კონსტრუქციის ვერ შედეგად უცხოეთში წაიღეს

ამ მითის გასაბათილებლად ერთი ფაქტიც კმარა: 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე საქართველოდან წარგზავნილი 16 სპორტსმენმა 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა — ყველაზე მეტი ქართული სპორტის ისტორიაში. ხოლო, თუ თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის 1981 წლის გამარჯვებას გავიხსენებთ უფასო თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში და ქართველი ფეხბურთის იმჟამინდელ დონეს შევადარებთ დღევანდელს (საქართველო ფიფას სარეიტინგო სიაში 118-ე ადგილზეა), ყველაფერი ნათელი იქნება.

მოამზადა ნიკა კორინთელმა



2017 წელს საქართველოს და რუსეთს შორის სავაჭრო ბრუნვა 33%-ით მოიმატა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ბრუნვა 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 33,3%-ით მოიმატა და 341 მლნ დოლარი შეადგინა.

საქართველოში წარმოებულ საქონლის ექსპორტმა რუსეთში 2,3-ჯერ მოიმატა და 125,2 მლნ-ს მიაღწია, რაც განპირობებული იყო რუსეთის ბაზრისთვის ფეროშენადნობის, ლენინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების, აგრეთვე, მინერალური წყლებისა და თხილის მიწოდებით.

რუსული საქონლის იმპორტმა კი, რომელიც ძირითადად შედგებოდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისგან, ხორბლისგან, ბუნებრივი აირისა და საკვები პროდუქტებისგან, 7%-ით მოიმატა და 216,3 მლნ დოლარს მიაღწია.

„სასქტატის“ მონაცემებით, რუსეთის ნიშმა, რომელიც თურქეთის შემდეგ მეორეა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 11% შეადგინა (2016 წელს — 7,8%).

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების ათეულშია, აგრეთვე, აზერბაიჯანი (8,8%), ჩინეთი (7,3%), გერმანია (5,1%), უკრაინა (4,6%), სომხეთი (4,5%), აშშ (3,8%), ბულგარეთი (3,4%), იტალია (2,7%).

სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ს ქვეყნებთან მოიმატა 35%-ით და 1,26 მლრდ-ს მიაღწია, ევროკავშირის ქვეყნებთან კი — 19%-ით (849,4 მლნ).



სცენა სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“

აშშ-ის სიყვარულიდან სიკვლევიამდე

29 მაისს პანამაში 84 წლისა გარდაიცვალა გენერალი მანუელ ნორიეგა. „დიქტატორი მანუელ ანტონიო ნორიეგა, რომელიც პანამას 1983-1989 წლებში მართავდა, თავის ტვინზე ოპერაციის გართულების შემდეგ, 29 მაისს გარდაიცვალა სანტო ტომასის ჰოსპიტალში“, — იუწყებოდა პანამური გაზეთი La prensa.


სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულმა ნორიეგამ 1969 წელს მხარი დაუჭირა სამხედრო გადატრიალებას, რომელიც გენერალმა ომარ ტორისოსმა მოახსო პანამაში. ერთი წლის შემდეგ კი დაიწვა თვითონ ტორისოსი, როდესაც მის დამხობას შეეცადნენ. ერთგულებისთვის ნორიეგა პანამის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დაზვერვისა და კონტრაზვერვის ხელმძღვანელად დანიშნეს. 1981 წელს ტორისოსი ბუ-

რუსეთ მოცულ ავიაკატასტროფაში დაიღუპა და ორი წლის შემდეგ ნორიეგა, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა აშშ-თან (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან ხელფასსაც კი იღებდა) პანამის შეიარაღებულ ძალებს ჩაუდგა სათავეში და ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი გახდა. 1989 წლის დეკემბერში ამერიკელები პანამის არხის ზონაში მცხოვრები 35 ათასი ამერიკელის დაცვისა და „ქვეყა-

ნაში დემოკრატიის“ აღდგენის საბაბით პანამაში შეიჭრნენ. ნორიეგამ თავი შეაფარა ვატიკანის საელჩოს. ამერიკელებმა კი დიპლომატიური მისიის ტერიტორიიდან ნორიეგას გამოსაძევებლად საელჩოს პერიმეტრზე ხმის გამამდიერებლები დააყენეს, რომლებიდანაც 24 საათის განმავლობაში ისმოდა როკმუსიკა. აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯიმის ბიკერმა ვატიკანს ნორიეგას გადაცემა მოსთხოვა, მაგრამ საკმე აქამდე არ მისულა — 1990 წლის 3 იანვარს ნორიეგა თვითონ ჩაბარდა ამერიკელებს, რომლებმაც ის მაიაში-ში გადაიყვანეს. ნორიეგა გაასამართლა აშშ-ის სასამართლომ და პანამის ყოფილ მმართველს ნარკოტიკებით ვაჭრობასა და გამო-

ძალვის ბრალდებით 40 წლის პატიმრობა მიუსაჯა, მოგვიანებით კი გაითვალისწინა ნორიეგას ხანგრძლივი თანამშრომლობა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან და სასჯელი 10 წლით შემცირა.

2010 წელს ამერიკელებმა ნორიეგა საფრანგეთს გადასცეს, სადაც მას „ფულის გათეთრების“ გამო 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, 2011 წელს კი საფრანგეთმა ნორიეგა გადასცა პანამას. აქ მას პოლიტიკურ მკვლელობებში დასდეს ბრალი და 20 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. 2017 წლის იანვარში პანამის სასამართლომ ნორიეგას უფლება მისცა, საშინაო პატიმრობაში ყოფილიყო თავის ტვინზე ოპერაციის გაკეთების აუცილებლობის გამო.



ნორიეგა, რომელიც წლების განმავლობაში იყო პანამის პირველი პირი, არაფრით განსხვავდებოდა ამერიკელების ძალისხმევით ქვეყნის მმართველებად დასმული იმ გენერლებისგან, რომლებიც მართავდნენ გვატემალას, ჰონდურასსა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს. ნორიეგა, პრო-ამერიკელი რეჟიმებისგან განსხვავებით, არ ხოცავდა თანა-



მემამულეებს და არ ემსახურებოდა ამერიკულ კორპორაციებს, ის მოითხოვდა პანამის არხის პანამელებისთვის დაბრუნებას და ქვეყნიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანას. სწორედ ამიტომ ამერიკელებმა დაამხეს ნორიეგა, ინტერვენციისას კი 500-მდე პანამელი გამოასალმეს სიცოცხლეს.

მოამზადა ლუკა მაისურაძემ



ახსოვნი კრისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აშშ-ის საკონსულოების თანამშრომლები ვიზის მიღების მსურველებს მოსთხოვენ უცხოეთის მათი ყველა ადრინდელი პასპორტის ნომრებს, პროფილების სახელებს სოციალურ სარეკლამო, ასევე, დანვრის დროს ცნობებს გოლო 15 წლის განმავლობაში მსოფლიოში გადაადგილებისა და მუშაობის თაობაზე. შეკითხვები აუცილებელი ხასიათის არ არის, მაგრამ ანკედაში მითითებულია, რომ მათზე პასუხების გაუცემლობა შეიძლება გავლენა იქონიოს ვიზის გაცემაზე.



Time: პოროშენკო კორუპციულია?!

შერისხული უკრაინელი დეპუტატი ალექსანდრე მინიშინიკო ოკეანის გაღმობიდან ამერიკელი ურნალისტების დახმარებით ახალი და ახალი ბრალდებებით ამხელს უკრაინის პრეზიდენტის — პეტრო პოროშენკოს და მთელი მისი ადმინისტრაციის განსაკუთრებულ კორუმპირებულობას, რომლებიც დასავლეთის მიერ ნაბოძები თანხებითა და მრავალრიცხოვანი „ოტკატების“ წყალობით ფუფუნებაში ცხოვრობენ.


„სხვა მრავლის მსგავსად, მე ვარ მაგალითი იმისა, თუ რა ემართებათ პოროშენკოს გარემოცვაში მყოფ ადამიანებს მას შემდეგ, რაც ისინი მისი მტრების ბანაკში გადაინაცვლებენ. მე ეს დამემართა მას შემდეგ, რაც ვამხილე კორუფციული სისტემა, რომელიც უკრაინის ხელისუფლების უმადლეს დონეზე გამეფებული და გაგასაჯაროე უტყუარი მტკიცებულებანი

პირველწარის მეშვეობით“, — ციტირებს რადას დეპუტატს „ტიმი“. ალექსანდრე მინიშინიკოს მიანიჩია, რომ მას დეპუტატის ხელშეუხებლობა გაუქმეს პეტრო პოროშენკოსა და პრეზიდენტის გარემოცვის კორუმპირებულობის შესახებ განცხადებით გამოსვლის გამო, რომ სამშობლოში მის წინააღმდეგ საქმე ამის გამო აღძრეს.

დეპუტატი აცხადებს, რომ სამი წელიწადის განმავლობაში იგი არაერთხელ ყოფილა მოწვე იმისა, თუ როგორ მიითვისა უკრაინის პრეზიდენტმა მილიონობით დოლარი. პოროშენკო თხოულობს ყოველი ხელმოწერილი კონტრაქტიდან თავის ნილ „ოტკატებს“. თუ ადამიანი ან კომპანია უარს იტყვის ამგვარ „გადასახადზე“, იგი მოქმედი ხელისუფლების მიმართ არალოიალურად ცხადდება. ასევე ეპყრობიან მოხელეებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამგვარ უკანონობას. მაგალითად, უკრაინის ეკონომიკის ყოფილი მინისტრმა ანიშარას აპრომაპიწუსმა თანამდებობა დატოვა იმიტომ, რომ არ სურდა, კორუმპირებული სექტორის „კვამლის ფარდა“ ყოფილიყო.

Gazeta Wyborcza:

პოლონელებმა უკრაინელი ბასტარბაიტარები შეგეს



პოლონეთში მთვრალი ნაციონალისტები უკრაინელ მუშებს თავს დაესხნენ. ეს მოხდა გდანსკის მახლობლად სოფელ ხვამჩინოში. დაზარალდა ადგილობრივი პოლონელიც — სანარმოს მებატრონი, რომელიც თავისი მუშების დაცვას შეეცადა.

გაზეთის ცნობით, პოლონელებმა გამოიყენეს ქვები, ჯოხები, გატყეხილი ბოთლები — ე.წ. ვარდები და ბეისბოლის ჩოგანი. თავდასხმელები რამდენიმე ენაზე იგინებოდნენ და სკანდირებდნენ ლოზუნგს „პოლონეთი პოლონელებისთვის!“. ყვიროდნენ — „შინ წავთხოვთ, გათახსირებ-

ბულებო!“. თავდასხმის დროს შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია, როცა მუშების მიერ დაქირავებულ სახლში მცხოვრები ქალებისა და ორი ბავშვის სიცოცხლე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა 23-დან 38 წლამდე ასაკის 7 მამაკაცი. ისინი გა-

ფაქტი მეოთხე: ნორვეგიისა და შვედეთში არც ერთი მგელი არ ყოფილა, მაგრამ 1983-85 წლებში მეზობელი ფინეთიდან მგლების ხროვამ სასაზღვრო არეალში შეაღწია. მალე მათმა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა და ერთ წელიწადში 600 ცხვარი დაგლიჯა. არადა, იმ პერიოდში ორივე ქვეყნის ტყეებში 500 ათასამდე გარეული ჩლიქოსანი ბინადრობდა.

ფაქტი მესამე: საფრანგეთში 1990 წელს მხოლოდ 5 მგელი იყო აღრიცხული. მათ სწრაფ გამრავლებას მალე მოჰყვა მიმდებარე ტყეები: 1993 წელს მგლებმა დაგლიჯეს 36 ცხვარი, 1994 წელს — 140, 1995 წელს — 400, ხოლო 1996 წელს — 800. რაც შეეხება ამჟამინდელ ვითარებას, საფრანგეთში 2014 წელს მგლებმა დაგლიჯეს 8500 ცხვარი (წინა წელთან შედარებით 20% მეტი), ხოლო ხელისუფლების მიერ მოსახლეობისთვის გაღებული ზარალის კომპენსაციამ 2 მილიონი ევრო შეადგინა.

ამრიგად, მნიშვნელობა არ ჰქონია, ქვეყანაში 500 ირემი ბინადრობს, 50 000 თუ 500 000. მგელი მაინც არ მოიშლის მგლობას — გამოვა ტყიდან და თავს დაესხმება შინაურ პირუტყვს. და განა ძნელი მისახვედრია რატომ? ცხვარი და ძროხა მგლისთვის გაცილებით ადვილი დასამორჩილებელია, ვიდრე ირემი და შველი. ასე რომ, ის, რაც საქართველოსა და ევროპაში ხდებოდა და ხდება, მგლის სიმრავლით ყოფილა გამოწვეული და არა ტყეში გარეული ჩლიქოსნების სიმცირით, ამიტომაც მტაცებლის რაოდენობის შემცირება აუცილებელია, ხოლო ამის გაკეთება შესაძლებელია მგლის ყოველწლიური ბუნებრივი ნამატის შემცირებით, ანუ 500-ზე მეტი მგლის ლიკვიდაციით.

სომხეთში მოსახლეობაზე მგლების თავდასხმის მატების გამო ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ საპრემიო სისტემის შემოღებას 434 მგლის ლიკვიდაცია მოჰყვა. საქართველოში კი მგლების თავდასხმა ისე განხორციელდა, რომ 12 ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ ხელი-

SOS



www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვეკითხებით ბატონ ზურაბ გურიელიძეს — თუკი 1986 წლამდე საქართველოში ყოველწლიურად 600 მგლის ლიკვიდაცია ითვლებოდა ამ ცხოველის რაოდენობის რეგულირებად, ახლა რა მოსაზრებით მიიჩნევთ მსოფლიოში ყველაზე ტოტალურ დევნად მხოლოდ 21 მგლის მოკვლას?!

სოფლებამ ბუნებრივი წლიური ნაშთის, ანუ 500 მგლის ლიკვიდაციის ნაცვლად, მხოლოდ 21 ინდივიდის ლიკვიდაცია მოახდინა. ჩნდება კითხვა, რომლითაც უმეტესად მგლის ტოტალური დევნა დაინტერესდნენ — რა მოსაზრებით ეძახის ბატონი ზურაბ გურიელიძე ასეთ ქმედებას მგლის ტოტალურ დევნას? ეს ხომ პირიქით — ხელშეწყობაა სოფლის მოსახლეობის ტოტალური დევნისა, რომელსაც იგი რატომღაც „სტაბილურს“ უწოდებს?! ახლა ვნახოთ, როგორი სტაბილურია ის, რაც მიმდინარე წლის მხოლოდ პირველ სამ-ოთხ თვეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოხდა — პოზიტიურად სტაბილური თუ ნეგატიურად სტაბილური?

*** ასპინძა. კახაბერი ბერიძე, ფარმაცი:** — მგლების ხროვის მიერ მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი დიდია. აი, მარტო ერთი სოფლის — ოთას მაგალითი: გივი ნემსაძეს მგლებმა დაუგლიჯეს 5 ძროხა; ავთანდილ სვანიძეს — დეკეული; ჯონი კორდს — ცხენი; ზაქრო ტვიპისა და ფრიდონ მექოშიძის თვალწინ მგლებმა დაგლიჯეს ძროხა...

*** ახალციხე. ნოდარ ძოწაძე, მუშაობის მენეჯერი:** — სოფელ ფესაში ჩემ თვალწინ ოთხი ნაგაზით დაცულ 200 ცხვრის ფარას დაეცნენ მგლები და დაგლიჯეს 5 ცხვარი. წლებულს ეს მეოთხე შემთხვევა იყო...

*** ახმეტა. ბილა ბიტარიშვილი, ჟურნალისტი:** — 25 იანვარს სოფელ ხალანაში მგლებმა დაგლიჯეს 17 სული პირუტყვი, ასეთი განცხადებით წარსდგა ახმეტის საკრებულოს წინაშე სოფლის რწმუნებული თამარ მარგოშვილი...

*** თელავი. მანო გიმიტაშვილი, ინჟინერი:** — სოფელ გულგულას ქალაში მოზამთრე მწყემსებს თავს დაესხნენ მგლები... კოდალანთახოში კი დაგლიჯეს 4 დეკეული...

*** თიანეთი. არნოლდ გიბაძე, პროფესორი:** — სოფელ თრანში, ჩემი სახლიდან 100 მეტრის დაშორებით, საღამო ხანს ტყიდან გამოვარდნილ მგელს მეზობლის, ნიკლაურების, ნაგაზები დადევენ, მაგრამ მტაცებელმა ორივე მოგუდა და შეჭამა. ამავე სოფელში ხშირია მგლის მიერ პირუტყვის დაგლიჯვის შემთხვევები, ამიტომ მოსახლეობა ერთდგა ტყეში შესვლას — კენკრისა და სოკოს შეგროვებას, ხოლო საღამოს საათებში — მისვლა-მოსვლას, განსაკუთრებით უფროსი ინდივიდებიან ბავშვებს, მეზობლებთანაც აღარ უშვებენ...

*** მცხეთა. ბილა ბარაჩანიძე, სპორტის პიარმენეჯერი:** — წინაპერიდან ერწოსა და საგურამოდან ცხვარიჭამამდე ვირებისა და ძაღლების ჭაჭანება აღარ არის — მგლებმა შეჭამეს. სოფელ ვალაფანში, მხოლოდ ჩემი მეზობლების — დათო გვრიტიშვილის, ვაჟა დორეულის, გიორგი ყველაშვილისა და მიხეილ ნიკლაურის ზარალი ათეულობით ცხვარი, ძროხა და ღორია...

*** ონი. თინათინ ბაგნიძე, ეთნოგრაფი:** — სოფელ ხირხონისში მხოლოდ სამ მცხოვრებს შერჩა საქონელი. მგლების შიშით ხირხონისსა და მის მეზობელ ქრისტესში პირუტყვის მომრავლებას ვერაფერზედავს...

*** ჩოხატაური. ნათო გომელია, ჟურნალისტი:** — ქვენობანელ ზურაბ თავბერიძეს მგლებმა დაუგლიჯეს ცხენი, ხოლო ხიდისთაველ ომარ ფლენტსა და ვალერიან კალანდაძეს — თხები. ბადრი ვასაძისა და ელენე ზაქარიანიშვილის დაკვირვებით დიდ ვანში, თავპანტაში, ნაბელავსა და ხევეში არ არის კომლი, მგლისაგან არ იყოს დაზარალებული...

*** ნაღენჯისა. ლეონტი ქუხიანი, მათემატიკის მასწავლებელი:** — სოფელ ჩქვალერში ტარიელ ქუხილავას მგლებმა დაუგლიჯეს 3 მენველი ძროხა, ოჯახს ერთადერთი დეკეული დარჩა, ზარალი ოთხი ათას ლარს აღემატება;

*** ბიგლა აბრალაშვილი, გეოგრაფი, პედაგოგი:** — ჩქვალერის მეზობელ სამ სოფელ ღორა-მედანში, ნაგურუსა და კუხეში მგლისაგან მიყენებული ზარალი ასეთია: გულად აბრალავა — 1 ცხენი; მელორ აბრალავა — 4 თხა; ნუგზარ გეთია — 1 ძროხა; რეზო გვილავა — 5 თხა; ომეხ კაკალია — 3 ძროხა; გივი კატუკია — 1 მოზვერი; გურამ მიქავა — 7 ცხვარი; ფიროზ მიქავა — 6 თხა; საჩინო ქარდავა — 1 მოზვერი; კორნელ ძაძაძია — 1 ღორი; ომარ ნულაია — 1 ცხენი; გიორგი ჭანტურია — 1 ძროხა; თენგიზ ჭიჭალა — 3 თხა; ოთარ ჭყაღლა — 2 ძროხა და 4 თხა; გოჩა ჯანჯღავა — 1 ჯორი...

*** ციათურა. ნესტორ ნოზაძე, მონკავშირის თავმჯდომარე:** — მგლების ხროვადი დიდად დაზარალა ჩვენი მოსახლეობა; მაგალითად, სოფელ უსახელოში გოჩა პაპიძეს მგლებმა დაუგლიჯეს მენველი ძროხა; სოფელ ჩხირაულში ბორის კახანაძეს — 1 ძროხა და 4 ღორი; სოფელ ხრეთში ტარიელ შერგელაშვილს — 1 მოზვერი; სოფელ ჯაჯანიძეების უბანში იროდი ჯაჯანიძეს — ცხენი და კვიცი...

საქართველოს მთასა და ბარში მგლების თარეში, ოცი წლია, მგლის რეგულირებით ხასიათდება, რაც, ვიმეორებთ, ბატონ ზურაბ გურიელიძეს პოზიტიურ სტაბილურებად მიაჩნია(?)!

(იხ. ცხრილი)
ახლა მთავარი კითხვაა: რამდენი მგელი უნდა იყოს საქართველოში ვეროპულის სტანდარტებით?

1979 წელს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოსა და მონადირეთა კავშირის მონაცემებით, საქართველოში ბინადრობდა 3975 მგელი; 1989 წელს — 3590. მგლის ასეთი რიცხოვნობა საეჭვოდ იყო მიჩნეული და არაერთხელ გამხდარა მკვლევართა განსჯის საგანი (იხ. ჟურნ. „ნიანგი“, 1980, №11, გვ. 7; კრებული „მონადირე და მეთევზე“, 1989, გვ. 5 და სხვ.).

ამჟამად, ნაკრესელთა მოცულობით, საქართველოში მგლების რაოდენობა არის 1500 (იხ. გაზ. „ბათუმელი“, ნათი კოპალიანი, 29.09.2014 წ.). ამ მაჩვენებლით საქართველოს ტერიტორიის ყოველ 1000 კვ. კმ-ზე მოდის 26 მგელი, რაც ვეროპის ქვეყნებთან შედარებით შემდეგ სურათს იძლევა: საქართველოში მგლის რაოდენობა 1000 კვ. კმ-ზე გერმანიასთან შედარებით 216-ჯერ მეტია, ჩეხეთსა და შვეიცარიაზე — 65-ჯერ მეტი,

ვეროპის ქვეყნები მგლის რაოდენობის სიმჭიდროვე ბოლო 23 წლის განმავლობაში

(წყარო: International Wolf Centre Statistics. www.wolf.org)

ქვეყანა	1990 წელი	1995 წელი	1999 წელი	2007 წელი	2010 წელი	2013 წელი	საშუალო სიმჭიდროვე 1000 კმ ² -ზე
დიდი ბრიტან.	0	0	0	0	0	0	0
ავსტრია	0	0	0	0	0	0	0
პოლანდია	0	0	0	0	0	0	0
ბელგია	0	0	0	0	0	0	0
შვეიცარია	0	0	5	3-4	15	-	0.1-0.4
გერმანია	5	10	5-10	5-10	-	40-50	0.01-0.12
საფრანგეთი	5	7-15	30-40	40-100	-	250-300	0.01-0.54
ჩეხეთი	50	-	20	20	20	-	0.1-0.4
ნორვეგია	5	-	5-10	20	20	380*	0.01-1.2
უნგრეთი	40	-	50	50	50	-	0.4-0.5
შვედეთი	20	30	45-60	120	120	380*	0.04-0.8
ფინეთი	90	-	150	250-270	-	150	0.3-0.8
პორტუგალია	150	250-300	250-300	200-300	250	-	1.6-3.2
იტალია	250	400-450	-	500-600	-	1000	0.8-3.3
პოლონეთი	850	850-900	1000-1100	600-700	-	950	1.9-3.5
ესპანეთი	1500	-	2000	1500-2000	-	2000	3.0-4.0
საბერძნეთი	500	-	200-300	200-300	300-600	-	1.5-4.6
უკრაინა	-	-	2000-3000	2000	-	-	3.3-5.0
რუმინეთი	2000	2500	2500	2500	2000	-	8.4-10.5
ბელარუსი	-	-	2000-2500	-	-	-	12,0

შენიშვნა: * ნორვეგიასა და შვედეთში ერთად — 380

მოველოდებით სელისოფლებას, საქართველოში მგლის რაოდენობა საშუალო ვეროპულ სტანდარტამდე დაიყვანოს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის ყოველ 1000 კვადრატულ კილომეტრზე 3 სულამდე, რაც სულ 200 სული იქნება



ნორვეგიასა და შვედეთზე — 57-ჯერ, უნგრეთზე — 52-ჯერ, საფრანგეთზე — 48-ჯერ, ფინეთზე — 32-ჯერ, პორტუგალიაზე — 8-ჯერ, იტალიაზე — 7,8-ჯერ, პოლონეთზე — 7,4-ჯერ, ესპანეთზე — 6,5-ჯერ, საბერძნეთზე — 5,6-ჯერ... ამრიგად, თუ ვეროპული სტანდარტებით მგლის რაოდენობის საშუალო სიმჭიდროვედ ყოველ 1000 კვადრატულ კილომეტრზე 3 სულს მივიჩნევთ, მაშინ ცხადია, რომ, საქართველოში ვეროპული სტანდარტების მიხედვით, მგლის რაოდენობა 200-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამჟამინდელი თუნდაც 1500 მგელი — ეს უკვე ეკოლოგიური კატასტროფაა, რასაც ჩვენი მწარე სინამდვილე ადასტურებს.

დენობის რამდენიმე ათეულამდე ან ასულამდე შემცირება ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებასა და ქვეყნის მატარებელ ზარალის მინიმუმამდე დაყვანის აუცილებლობითაა ნაპარახავი და არა ბუნებაში მგლის რაოდენობის მართვის მიზნით. მიუხედავად მგლის რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანისა, ვეროპაში (ყოფილი სსკპის ნაწილის ბარაქა), რომლის მოსახლეობა 2015 წლის მონაცემებით, 532 მილიონს აღემატება, გომელო 50 წლის განმავლობაში მგლებმა იმსხვერპლა 9 კაცი, ხოლო 3,7-მილიონიან საქართველოში გომელო 10 წლიდან — 12 კაცი.

მსოფლიოს ისტორია გვასწავლის, რომ ომებსა და არეულობებს ყოველთვის სდევს მგლის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება და ამის გამო მათი რაოდენობის მკვეთრი ზრდა. გავანია ომის პერიოდში, 1942-44 წლებში, საქართველოში მგლის პოპულაციის რეგულირების შესუსტებას მათი რაოდენობის ისეთი ზრდა მოჰყოლია, რომ შემდეგი 6 წლის განმავლობაში საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ

1036 მგლის ლიკვიდაცია(!). ასეთია ისტორიის გაკვეთილები, რომელთა გათვალისწინება ჩვენი მოვალეობაა და უტყუარი ორიენტირი იმისა, რომ ამჟამად საქართველოს სოფლებში შექმნილი კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობა 21 მგლის ლიკვიდაციით არ გამოსწორდება.

საქართველოში ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რითაც ვალდებულია იქონიოს, თავისი კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები ევროსტანდარტებს შეუსაბამოს. ნუ დაგვავინწყდება, რომ ევროსტანდარტის მიხედვით, სახელმწიფომ დაზარალებულ მოქალაქეს უნდა გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა. ჩვენთან, საქართველოში, მგლისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ვინ ჩივის, ამ ზარალის აღრიცხვაც კი არ ხდება.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს უფლებას, მოველოდებით ხელისუფლებას — დაიყვანოს საქართველოში მგლის რაოდენობა საშუალო ვეროპულ სტანდარტამდე, ანუ ქვეყნის ტერიტორიის ყოველ 1000 კვადრატულ კილომეტრზე 3 სულამდე, რაც იქნება სულ 200 სული.

წერილს ხელს აწერენ: არნოლდ გიბაძე, პროფესორი, ბიოლოგი, ბიოგეოგრაფი, მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების კათედრის გამგე, მსოფლიოს სუბი კონტინენტის 8 უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი;

ბიძინა თაყაია, მეტყველი ფილოზოფი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს აკადემიის უნივერსიტეტის სატყეო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაციის — „ფესების“ პრეზიდენტი;

გვანაძი მანია, ჟურნალისტი, ეკოლოგი, მხარეთმცოდნე, საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშეწყობის კავშირის — „გიორგის“ თავმჯდომარე;

ქეთევან მგლობლიშვილი, გეოგრაფი, კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი, საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების სწავლული მდივანი;

მარათ ცინციპილი, ეკოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარგთაშორისი საპრობლემო კომისიების წევრი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

P.S. ძვირფასო მკითხველო, გთხოვთ, გამოგვცხადებოდეთ. ველით თქვენგან ახალ ინფორმაციას მგლის მიერ მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის შესახებ.
დაბეჭდვის მისამართი:
ტელ: 555-207-591; 593-512-747;
ელფოსტა: giorgiunion@gmail.com; ketevanmgloblishvili@yahoo.com



ახალი საქართველო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევროპულ რეიტინგში, რომელიც გაეზისადმი დამოკიდებულებას გამოსატანს, ბელარუსს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია. მათი უფლებების დაცვის დონე შეფასებულია 13 პროცენტით, შესაძლო 100 პროცენტიდან. ასეთივე მაჩვენებელი აქვს მოლდოვას. უფრო ნაკლები — სან-მარინოს (12 პროცენტი), მონაკოს (10 პროცენტი), თურქეთს (9 პროცენტი), სომხეთს (7 პროცენტი), რუსეთს (6 პროცენტი), აზერბაიჯანს (5 პროცენტი). და ამ ქვეყნების არც ერთი ხელისუფლებას ასეთი შეფასება არ აწუხებს.

უზნეობა დემოკრატიის სახელით ლგბტელები ბელარუსიდან გარბიან



16 წლის წინათ ლგბტ თემის ჭრელა-ჭრულა დროში მინსკში ფრიალებდა და მას ყურადღებას არავინ აქცევდა. არც მამათმავლების საპროტესტო გამოსვლა ჩათვალეს ყურადღების ღირსად სამართალდამცველებმა, როცა ისინი ოპოზიციონერების მიტინგს შეუერთდნენ, პრეზიდენტ ლუკაშენკოს წინააღმდეგ რომ იყო მოწყობილი. ხელისუფლებას ცინიკურად ჩაეღიმა, — ესა ხართ, რაცა ხართო. ოპოზიციონერებს მიუთითა. ამათაც, — ვინ მოგინვიათ, ჩვენს საქმეში რომ ეჩრებითო. იმ დემონსტრაციის ლიდერი იმპერატორ ტარლაცკი, ამჟამად მალაქა შუშუ, ტრავესტი შოუს პოპულარული მსახიობია და მეზობელ უკრაინაში მოღვაწეობს.

(ტრავესტი შოუს დროს აქტიორები, შესაბამის ტანსაცმელში გამოწყობილები, სანინალმდეგო სქესის ადამიანებს განასახიერებენ: კაცი ქალს ან ქალი — კაცს; თუატრმცოდნეები მიიჩნევენ, რომ ეს ჟანრი ტელევიზიასა და კინოში თანდათან კვდება).
1990-იანი წლების ბოლოს ედუარდ-ფუჟუს მიერ შექმნი-

ლი ბელარუსი სექსუალური უმცირესობათა ლიგა უკრაინაში მის გადაბარებებამდე, ანუ 2008 წლამდე კიდევ რაღაცას ფაფხურობდა — მინსკის ბომონდისთვის აწყობდა ხან Belarus Gay Pride-ს ფესტივალს, ხან — კონკურსს „ალტერნატიული მის ბელარუსი“, ხან — „ფერადოვან“ პიკეტებს. მაგრამ უთხრეს, ახლა

მორჩიო და ისიც აიბარგა მინსკიდან, რადგან დარწმუნდა, რომ „ფერადოვანი გააგებინა“ თანამემამულეებს. ვერ გააგებინა კი არა, ნათესავეებმა სასამართლო დადგენილებით ბინიდან გაასახლეს. მის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის აქტივისტებიც ერთმანეთის მიყვლით ვინ სად გაიქცა და ვინ — სად...

ერთ-ერთმა (რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა) განაცხადა, რომ მინსკში ცხოვრება შესაძლებელია, ევატაჟს თუ არ გადაყვები და თავს არ გამოყოფო.

იგი ამბობს, რომ არასოდეს აფიშირებდა თავის სექსუალურ ორიენტაციას და ასკვნის: „თუ ხვალ მიიღებენ კანონს, რომელიც აკრძალავს ერთნაირსქესიანთა კავშირს და მას დანაშაულად მიიჩნევს, თუ დაბრუნდება იგივე, რაც ძველად იყო, არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი მეგობრები

და ნაცნობები, რომლებმაც იციან, ვინც ვარ, არ დამასმენენ“.

ბელარუსში არ არის არც ერთი დარეგისტრირებული ლგბტ ორგანიზაცია. არ ამტკიცებენ კი იმიტომ, რომ ამორალურია, უზნეო და არ უპასუხებს ტრადიციულ ფასეულობებს.

უფლებადამცველ ნატალია მანკოვსკიას აზრით, ლგბტ თემისადმი ქვეყნის საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას კარგად ასახავს კომპანია SATIO-ს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგები. კერძოდ, „70 პროცენტამდე ბამოკითხულ ბელარუსს არ სურს, თავის მეზობლად იხილოს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი ადამიანი.“

ევროპულ რეიტინგში, რომელიც გვეზისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს, ბელარუსს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია. მათი უფლებების დაცვის დონე შეფასებულია 13 პროცენტით, შესაძლო 100 პროცენტიდან. ასეთივე მაჩვენებელი აქვს მოლდოვას. უფრო ნაკლები — სან-მარინოს (12 პროცენტი), მონაკოს (10 პროცენტი), თურქეთს (9 პროცენტი), სომხეთს (7 პროცენტი), რუსეთს (6 პროცენტი), აზერბაიჯანს (5 პროცენტი).

და ამ ქვეყნების არც ერთი ხელისუფლებას ასეთი შეფასება არ აწუხებს.

ბი-ბი-სის უპბლიკაციის მიხედვით ცნობისთვის: დღეს მსოფლიოში 70 მილიონი ტრანსგენდერია. აშშ-ში კი ყოველწლიურად 2000 ტრანსგენდერს კლავენ.



გაკლავი სკოლაში?!


დაიხ, ასე: მონრელის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების მშობლებმა შეიტყვეს, რომ სასწავლო დაწესებულებაში მოხალისედ (ვოლონტიორად) მუშაობს პარლანტოლოგი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 12 წლით პატიმრობა მოზარდი გოგონების გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის.

1990-იანი წლების დასაწყისში ჰომოლკამ, თავის ქმარ პოლ ბერნადოსთან ერთად, მოკლა სამი გოგონა, მათგან ერთ-ერთი კლარას და იყო. მაშაკაცს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ჰომოლკამ გამოძიებასთან ითანამშრომლა და განაცხადა, რომ მკვლელობებში ძალდატანებით მონაწილეობდა. პატიმრობიდან 2005 წელს გათავისუფლდა, იტყობინება „დიდილი მელი“.

ჰომოლკა თავისი ადვოკატის ძმას მისთხოვდა და დატოვა კანადა. მონრელში ქმართან და სამ შვილთან ერთად ორი წლის წინათ დაბრუნდა. შვილები კერძო სკოლაში მოეწევენ და მათმა დედამაც იქ დაიწყო მუშაობა.

სკოლის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ იცნობენ ჰომოლკას კრიმინალურ წარსულს. ქალბატონი კლარა დღესაც იქ მუშაობს. მშობლები აღმფრთხილები დარჩნენ.

ას მოკლავი, მოკლავი მსოფლიო



პირველ ივნისს 16 წლის ჩიკაგოელმა ილზა მანსონი სუპერ-მარკეტში მოიპარა დანა და მარტე, გამოიძახა ტაქსი და მოკლა ტაქსის მძღოლი, 34 წლის ბრანტ ნელსონი. დაჭრილმა ტაქსისტმა მოახერხა აგრესიული მგზავრის მანქანიდან გადმოსმა და დახმარებისთვის პოლიციას მიმართა. მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს. ელზა ვასნი დანაშაულის ადგილთან ახლოს დააკავეს.



ჩიკაგოს პოლიციამ დააკავა 14 წლის მოზარდი, რომელმაც „ფეისბუქში“ მოაწყო 15 წლის გოგონის კოლექტიური გაუპატიურების ონლაინტრანსლაცია.

„ასოშიატივდ პრესის“ ცნობით, ინციდენტი ჯერ კიდევ მარტის შუა რიცხვებში მოხდა. შემთხვევის შესახებ პოლიციას დაზარალებულის დედამ აცნობა: მან ინტერნეტში აღმოაჩინა ვიდეო და პოლიციის სუპერინტენდანტს აცნობა. უფლებადამცველებმა განაცხადეს, რომ ისინი განსაკ-

უთრებით აღმფრთხილდნენ იმით, რომ ჩადენილ დანაშაულს თვალს ადევნებდა 40 ადამიანი და მათგან არც ერთს მომხდარის შესახებ პოლიციისთვის არ შეუტყობინებია.

პოლიციის ინფორმაციით, კოლექტიურ გაუპატიურებაში 5 თუ 4 მამაკაცი მონაწილეობდა.

პედერასტები სიკვდილის უმედეგ დაქორწინდნენ



პოლიციელი კსავიე ფუჟელე, რომელიც პარიზში ელისეს მინდრებზე პრეზიდენტის არჩევის წინა დღეს მოკლეს, სიკვდილის შემდეგ შეუღლდა თავის პარტნიორ ეტიენ კარდილესთან, იტყობინება გაზეთი „პარიზიენი“.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სიკვდილის შემდეგ ქორწინების რეგისტრაციას იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ სერიოზული მიზეზები არსებობს (საერთო შვილები, ხანგრძლივი თანაცხოვრება ან სიკვდილის განსაკუთრებული ვითარება. ტერაქტი მათში შედის). ნებართვას გაცემს მხოლოდ პრეზიდენტი თავისი ბრძანებულებით.
ქორწინება გაფორმდა საფრანგეთის დედაქალაქის XIV

ოლქში სამშაბათს საღამოს. ცერემონიაზე ბევრი სტუმარი არ ყოფილა, მაგრამ მონაწილეობდნენ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, ქალაქ ანის მერი იდ-ალგო და შინაგან საქმეთა მინისტრი ჟერარ კოლონი.

პოლიციის გარდაცვლილი კაპიტანი ფუჟელე პედერასტი იყო და პოლიციასა და ჟანდარმერიაში მომუშავე ლგბტ თემის წევრების წარმომადგენელთა ასოციაციის წევრი გახლდათ.



მაცვლის ნარბი უნდა დაირიგოს გავრცელების დასაწყისში რაც შეიძლება ადრე, რომოც კი შესაძლებელი იქნება ნიადაგის დამუშავება. საძირითველო შედარებით გრილი კლიმატის რეგიონებში ეს პერიოდი მარტის დასაწყისიდან აპრილის შუა პერიოდამდე, როდესაც ტემპერატურა საკმარისად მაღალია და არ მზავს მკაცრი ყინვის საფრთხე. რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში იზრდება მცენარე გავრცელება, მით უკეთესი განვითარდება ფესვთა სისტემა და უფრო სწრაფად შეიძლება რიგი მცენარეებით.

საძირითველო სოფლის მეურნეობის მცენარეობათა აკადემიისა და გავით „საძირითველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

მაცვლი (Rubus-ის სახეობა) მაღალი ღირებულების მქონე ბუჩქოვანი კენკროვანი კულტურაა. იგი შეიცავს საკვებ და სამკურნალო ნივთიერებების კომპლექსს: საქაროზას, გლუკოზას, ფრუქტოზას (5%-მდე); ლიმონის, ღვინის, ვაშლის, სალიცილისა და სხვა ორგანულ მჟავებს; B, C, E, K, P, PP ჯგუფის ვიტამინებს; მინერალურ ნივთიერებებს (კალიუმის, სპილენძისა და მანგანუმის მარილებს); მთრიმლავ და არომატულ ნივთიერებებს; პექტინურ ნივთიერებებს და სხვა მკრო და მიკროელემენტებს. ხალხურ მედიცინაში მაცვლის ნაყოფს ორგანიზმის გასაძლიერებლად და ვიტამინებით უზრუნველსაყოფად იყენებენ.

მაცვლის მოყვანა წარმატებით არის შესაძლებელი საქართველოს მრავალფეროვან აგროკლიმატურ პირობებში. ამჟამად მაცვალი დიდი მოცულობით არ მოჰყავთ, მაგრამ მისი წარმოების გაფართოება ძალიან პერსპექტიულია. მაღალი ხარისხის მაცვლის სტაბილური მიწოდების შესაძლებლობის მქონე ფერმერებს გასაძლიერებლად მცენარეთა ტემპერატურა შეიძლება შეიძლება არ იყოს. იანვარ-თებერვალში რამდენიმე დღის განმავლობაში თბილი ამინდის შედეგად შეიძლება მოხდეს ვეგეტაციის დანაშლის პროვოცირება, მოგვიანებით დამდგარმა ციფმა ამინდებმა კი შეიძლება დაზიანოს ისინი.

ნაკვეთის შერჩევა

მაცვლის გასაშენებლად უნდა შეირჩეს კარგად განათებული ადგილი. მაცვალი არ უნდა დაირიგოს ხეების რიგების ან შენობების ჩრდილში. საუკეთესოა დრენაჟის კარგი სისტემის მქონე, ბუნებრივად ნაყოფიერი, მაღალი ორგანული ნივთიერებების მდიდარი (2-4%) ნიადაგი, სადაც pH-ის მაჩვენებელი 6,0 და 7,0 შორის მერყეობს. მაცვლისთვის ხელსაყრელია **ქვიშნარი ან თიხნარი ნიადაგი, თუმცა ის კარგად ხარობს კარგი დრენაჟის მქონე თიხან ნიადაგზეც.** ნაკვეთის შერჩევისას წყლის დრენაჟის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მაცვლის ფესვთა სისტემა ნიადაგში 1 მეტრის ან მეტ სიღრმეზე განვითარებულია. ჟანგბადის დაბალი შემცველობისადმი მაცვლის ფესვების მგრძობიარობის გამო ნიადაგის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე არ უნდა იყოს გრუნტი წყლები.

მაცვალი უნდა დაირიგოს სწორ ან ოდნავ დაქანებულ მიწის ნაკვეთზე. უცილებელია ნარგავების გარშემო უზრუნველყოფილი იყოს ჰაერის სათანადო მოძრაობა. ჰაერის მოძრაობა ამცირებს ტენიანობას მცენარეთა გარშემო და ხელს უშლის ფოთლების დაზარალების ხელშემწყობი პირობების შექმნას. მნიშვნელოვანია მაცვლის დაცვა ძლიერი ქარისგან, რომელიც ამცირებს მცენარეთა სიდიერეს სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში, იწვევს

ბუჩქის ზრდის შეფერხებასა და დაზიანებას.

ბორცვიან და მთიან ნაკვეთებში მაცვალი, როგორც წესი, ყველაზე კარგად იზრდება დაცულ ჩრდილოეთ ფერდობებზე. შესაძლებელია სამხრეთის ფერდობების გამოყენებაც, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზამთარში დღის განმავლობაში მცენარეთა ტემპერატურა შეიძლება შეიძლება არ იყოს. იანვარ-თებერვალში რამდენიმე დღის განმავლობაში თბილი ამინდის შედეგად შეიძლება მოხდეს ვეგეტაციის დანაშლის პროვოცირება, მოგვიანებით დამდგარმა ციფმა ამინდებმა კი შეიძლება დაზიანოს ისინი.

ნაკვეთის მომზადება

მაცვლის პლანტაციის გასაშენებლად ნაკვეთი უნდა შეირჩეს მცენარეების დარგვამდე ერთი წლით ადრე. მიწის მოამზადებელი სამუშაოები შეიძლება მოიცავდეს ნიადაგის დრენაჟის გაუმჯობესებას, pH-ის შეცვლას, ნიადაგში საკვები ნივთიერებებისა და ორგანული სასუქის შეტანას და მრავალწლიან სარეველებთან ბრძოლას. მაცვლის დარგვამდე ნაკვეთი უნდა განიმუხდოს წინა კულტურის დარჩენილი ნარჩენებისგან. მომავალ გაზაფხულზე მაცვლის დასარგავად ნიადაგი უნდა მოიხნას ან დამუშავდეს შემოდგომით.

ჯიშების შერჩევა

ღეროს ზრდის მახასიათებლების მიხედვით განასხვავდებიან მაცვლის სამ ფორმას. ესე-

მაცვლის კულტურის აბრძობა სწრაფად



ნია: **სწორმდგომი, ნახევრად აბრძობილი ფორმა და მხვიარა.** სწორმდგომი მაცვალს სწორი და მყარი ღერო წარმოეკმნება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტიპის მაცვალს არ სჭირდება საყრდენი სისტემა ვერტიკალური ზრდის შესაზრუნებლად, მისი წარმოებისას, როგორც წესი, მას საყრდენებით ამაგრებენ. ნახევრად სწორმდგომი მაცვალი ივითარებს სწორ ღეროებს, რომლებიც თითქმის ამართულიან პოროციონებისაგან იკვეთიან. ღეროებისთვის აუცილებელია საყრდენი შპალერის მოწყობა. მხვიარა მაცვალი ივითარებს ტოტებს, რომლებიც ჰორიზონტალურად იზრდება და მათთვისაც ასევე საჭიროა საყრდენი შპალერი. საქართველოში შეიძლება გამოყენდეს მსოფლიოში კომერციული უმეტესობა მაცვლის ჯიშები; კომერციული დანიშნულებით გამოყენდებიან სამედიკინო რეგენერირება. საქართველოში წარმოებისთვის რეკომენდებულია ჯიშები: Prime-Ark 45-ი და Reuben-ი.

Quachita არის ძალიან მაღალმოსავლიანი, საშუალო პერიოდის სიმწიფის მსხვილი, უეკლო ჯიშია, რომელსაც აქვს ძლიერი ზრდა, კომპაქტური ფლორესენცია, მიმზიდველი იყვლება. Navaho საშუალო-საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელსაც აქვს ძლიერი ზრდა, კომპაქტური ფლორესენცია, მიმზიდველი იყვლება. Navaho საშუალო-საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელსაც იძლევა მსხვილი, მკვრივ კენკრას შესანიშნავი არომატი. Apache საშუალო-საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელიც იძლევა მსხვილ, მკვრივ კენკრას. Prime-Ark 45-ი, და Reuben-ი — ორი ნამყვანი ჯიშია, მათ მსგავსი მახასიათებლები აქვთ, იძლევიან მაღალი ხარისხის მოსავალს და აქვთ მოსავლის ხანგრძლივი პერიოდი. Thornfree-ს აქვს საშუალო-მსხვილი პრილა შავი კენკრა გამოკვეთილი არომატი. ღეროები ძლიერი და ნახევრად სწორმდგომია. მისი მოსავლის ალბა ინჟება ივლისის ბოლოს აგვისტოს დასაწყისამდე. Triple Crown-ი, უარაოდ ადაპტირებული უეკლო, მაღალმოსავლიანი ჯიშია კარგი არომატით. Loch Ness ასევე ძალიან პროდუქტიული უეკლო ჯიშია შესანიშნავი გემოით. ის საადრეო ჯიშია სწორმდგომი ღეროებით და დაავადებებისადმი უმეტესად გამძლეა. მას აქვს ხანგრძლივი მოსავლის კრეფის პერიოდი. იძლევა პრილა, მიმზიდველ, არომატულ და ტკბილ კენკრას. Prime-Ark 45-ი, და Reuben-ი — ორი ნამყვანი ჯიშია, მათ მსგავსი მახასიათებლები აქვთ, იძლევიან მაღალი ხარისხის მოსავალს და აქვთ მოსავლის ხანგრძლივი პერიოდი.

მაცვლის ნაკვეთის მომზადება

მაცვლის ნაკვეთის გასაშენებლად უნდა შეირჩეს კარგად განათებული ადგილი. მაცვალი არ უნდა დაირიგოს ხეების რიგების ან შენობების ჩრდილში. საუკეთესოა დრენაჟის კარგი სისტემის მქონე, ბუნებრივად ნაყოფიერი, მაღალი ორგანული ნივთიერებების მდიდარი (2-4%) ნიადაგი, სადაც pH-ის მაჩვენებელი 6,0 და 7,0 შორის მერყეობს. მაცვლისთვის ხელსაყრელია ქვიშნარი ან თიხნარი ნიადაგი, თუმცა ის კარგად ხარობს კარგი დრენაჟის მქონე თიხან ნიადაგზეც. ნაკვეთის შერჩევისას წყლის დრენაჟის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მაცვლის ფესვთა სისტემა ნიადაგში 1 მეტრის ან მეტ სიღრმეზე განვითარებულია. ჟანგბადის დაბალი შემცველობისადმი მაცვლის ფესვების მგრძობიარობის გამო ნიადაგის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე არ უნდა იყოს გრუნტი წყლები.

ეული, უვირუსო და მიღებული უნდა იყოს მხოლოდ სანდო სანერგეებიდან.

მაცვლის სარგავი მასალის ფესვთა სისტემა დარგვამდე ტენიან მდგომარეობაში უნდა შენარჩუნდეს. ნერგის დეჰიდრატაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს მის სიცოცხლისუნარიანობას. ფესვთა სისტემის გაუწყობის პრევენცია შესაძლებელია ნერგის მილიანად წყალში დასველების, ზოგჯერ დარგვამდე ფესვების დროდადრო დასველების და ღეროს მზის პირდაპირი შეხების დაცვით. მაცვლის დასარგავი მასალა დარგვამდე უნდა ჩაეშვას ფუნგიციდურ ხსნარში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ფოტოფტორა — ფესვის სიღამპლის განვითარება.

სტანდარტული ნერგი მოსვენებულ მდგომარეობაში — ასეთი ტიპის ნერგი ყველაზე ფართოდ გამოიყენება. ეს არის 1 წლის მცენარე, რომელიც კარგად განვითარებულია, სულ მცირე, 25 სმ სიგრძის ფესვთა სისტემა აქვს. დარგვისას ნერგის ფესვთა სისტემა უნდა გაიშალოს ნიადაგში. ღეროები უნდა ჩაიფლას 5-7 სმ-ის სიღრმეზე, ღერო უნდა ჩაიარას 2-3 სმ-ით უფრო ღრმად, ვიდრე საწინააღმდეგეობა. დარგვისას ფესვების გარშემო ნიადაგი კარგად უნდა დაიბინდოს, შემდეგ კი საფუძვლიანად მოიხრეს ნიადაგი თითოეული ღეროს გარშემო. ღერო უნდა დამოკლდეს 10-15 სმ სიგრძემდე.

მაცვლის ნარბი უნდა დაირიგოს გავრცელების დასაწყისში რაც შეიძლება ადრე, რომოც კი შესაძლებელი იქნება ნიადაგის დამუშავება. საძირითველო შედარებით გრილი კლიმატის რეგიონებში ეს პერიოდი მარტის დასაწყისიდან აპრილის შუა პერიოდამდე, როდესაც ტემპერატურა საკმარისად მაღალია და არ მზავს მკაცრი ყინვის საფრთხე. რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში იზრდება მცენარე გავრცელება, მით უკეთესი განვითარდება ფესვთა სისტემა და უფრო სწრაფად შეიძლება რიგი მცენარეებით.



ზაფხულზე, მით უკეთესი განვითარდება ფესვთა სისტემა და უფრო სწრაფად შეიძლება რიგი მცენარეებით.

ორგანული სასუქი

ნიადაგის ორგანული ნივთიერებები ძალიან საჭიროა მაცვლის კარგი განვითარებისთვის. ორგანული სასუქი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცხოველის ნაკვლიდან შერეული თივის სახით — საშუალოდ 30-50 ტ/ჰა, ან კომპოსტით. ქათმის ნაკელი — 5-10 ტ/ჰა. ჰექტარზე. იდეალურ შემთხვევაში ორგანული სასუქი ნიადაგში უნდა ჩაიხნას დარგვამდე 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე.

მაცვლის გასაშენებელი ნაკვეთი უნდა მოიხნას, დიფარაცხოს, საფუძვლიანად დამუშავდეს, სულ მცირე, 30 სანტიმეტრის სიღრმეზე. ქვენიადაგის დამუშავება ხდება ღრმად გამაფხვიერებით. მნიშვნელოვანია დარგვამდე საკმაო ხნით ადრე წყლისა და ნიადაგის ტესტირება და სათანადო ირრაციისა და განოყიერების პროცედურების დაცვა.

რიგების (შემაღლებული ბაქო-კვლების) ფორმირება

ნაკვეთის მომზადების და ნიადაგში საჭირო დანამატების შეტანის შემდეგ ხდება გასაშენებელი რიგების ან კვლების მოწყობა. მაცვალი შეიძლება დაიარსოს სწორ ზედაპირზე, კარგი დრენაჟის პირობებში. არასასურველი დრენაჟის პირობებში მაცვალი უნდა დაიარსოს შემალბურ კვლებზე, რომელიც ეწყობა დაახლოებით 25 სმ-ის სიმაღლეზე და მიწიქვეშ 75 სმ სიღრმის მქონე ზოლებად. კვლების ცენტრებს შორის მანძილი, სულ მცირე, 3,0 მეტრს უნდა შეადგენდეს. ამის შედეგად საკმარისი ფართობი დარჩება რიგთაშორისების დასამუშავებლად და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩასატარებლად (განოყიერება, შესუბრება, მოსავლის აღება). მანძილი რიგებს შორის ასევე დამოკიდებულია ნარგავის მოვლისთვის გამოყენებული სასოფლო სამუშაოების ტექნიკის გაბარიტებზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელი იყოს მცირე მოდების განხორციელების გამოყენების კულტივატორის გამოყენება. მნიშვნელოვანია მაცვლის დასარგავად ნიადაგი უნდა დაიბინდოს და რიგები განლაგდეს ფერდობის პერპენდიკულარულად ნიადაგის ერთობის შესამცირებლად.

- გაბრძობა**
შემაღლებული ნერგის
ჩაქოვნილი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;
ნარბიზა ალასანი,
ლაპხინა
პორბილაკი,
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები

ამერიკის პრეზიდენტის მოქმედება აზარალებს ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს, თუმცა შეუძლია ჩაძინებული ევროპის გამოღვივება, — წერს ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“ მისი კორესპონდენტი ბრიუსელში ჟან-ჟაკ მიველი.

„დონალდ ტრამპი ნამდვილად არ არის მშვენიერი პრინცი, მაგრამ ამერიკული უცნაურობების სიმრავლემ ხელი შეუწყო იმას, რომ ბევრ ევროპელს ევროკავშირის უძრავობიდან გამოყვანისა და საკუთარი თავისადმი კუთვნილების სურვილი გასჩენოდა. ასეთი გამოღვივება მკვეთრი აღმოჩნდა. მილიარდების მიერ განხორციელებულ დარტყმასა და ნატოსადმი ნდობის კრედიტის მოსპობას კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმებაში მონაწილეობაზე უარის თქმაც დაემატა, რომელიც (შეთანხმება) მსოფლიო დემოკრატიის იმეათ წარმატებად არის მიჩნეული“, — აღნიშნავს ჟურნალისტი.

„უარმა, რომელიც ბრიტანელებმა თქვეს, შეანჯღრია აპათური ძველი სამყარო იმ შიდა პარტიზანული ომის გამოძახილთან ერთად, რომელიც ბუდაპეშტსა და ვარშავას ერთმანეთს შორის ავით. თითქმის ნეკროზი დასჭირდა ევროკავშირის გადარჩენის ინსტიტუტის გამოსაცდელად, რომელიც შაგრენის

ტყავით მცირდება“, — ნათქვამია სტატიაში.

ანგელა მერკელმა გაბედა დონალდ ტრამპთან, ტარაზა მისთან და ვლადიმერ პუტინთან ურთიერთობის გაფუჭება. „ჩვენ, რა თქმა უნდა, მეგობრებად უნდა დავრჩეთ აშშ-თან და დიდ ბრიტანეთთან და, რამდენადაც შესაძლებელია, — კეთილ მეზობლებად რუსეთთან, მაგრამ უნდა შევიგნოთ: როგორც ევროპელებმა, ჩვენ თვითონ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენივე მომავლისა და ბედისთვის“. „ვიყოთ პარტნიორები? — დიახ, ვიმოქმედოთ ერთსულოვნად? — არა“, — ასკვნის ავტორი.

„ახლახან არჩეული პრეზიდენტმა ტრამპმა დახასიათებისას უფრო ფრთხილია, „გულწრფელად ამიანად“ მიიჩნევს მას“.

„ევროკავშირისადმი ნდობის ახალი ტალღა ევროპის ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა, რომელმაც პიროვნულ კვარტალში აშშ-ის ეკონომიკის ზრდას გადააჭარბა. ამას არაფერ ელოდა... ემანუელ მაკრონის გამარჯვებამ საბოლო-

დონალდ ტრამპი მარტოსულია



ოდ დამარბა ულტრამემარჯვენეების უსასრულო ზრდის რწმენა. გერმანული არჩევნები სექტემბერში უეჭველად განამტკიცებს ამ პროგნოზს. მარტინ შულცი, ევროპელი სოციალისტების კანდიდატი, ქალბატონ კანცლერზე ნაკლები ევროპელი არ არის. იგი უფრო მკვეთრად გამოადის აშშ-ის პრეზიდენტის ნინაღმდეგ, რომელიც „დასავლური ფასეულობების დანგრევის-

კენ ისწრაფვის“. ხოლო დონალდ ტრამპსა და ტერეზა მესიეს კვიციანის შიგნით მდგომარეობა ურთულდება. ვლადიმერ პუტინი, ჩანს, ანულებს ტემპს როგორც სირიაში, ასევე უკრაინაში. სულ რაღაც ნახევარ წელიწადში დინამიკამ შეიძლება მიმართულება იცვალოს“, — ასკვნის მეველი.

„სიტყვების გარდა, ტანდემს, რომელიც შედგება უგამოცდილესი ევროპელი ხელმ-

ძღვანელის — გერმანიის კანცლერისგან და ამომავალი ფრანგი ვარსკვლავისგან, მოუწევს, ახალი შეცდომების თავიდან არიდება და ამბიციების ევროპულად დამკვიდრება. სამ ფრონტზე (ევროპის გამოცოცხლების, ევროპული თავდაცვის სისტემის შექმნისა და კლიმატის შესახებ შეთანხმების) დახარჯულ ძალისხმევას შეუძლია პოლიტიკური ენერჯის უფრო მეტად კატალი-

ზირება“, — ასე თვლის ჟურნალისტი. დიდ ბრიტანეთთან განქორწინების მიუხედავად, ევროპის გაძლიერების პოლიტიკური საშუალებები გააჩნია. მისი ოთხი ბურჯი — გერმანული, ფრანგული, იტალიური და ესპანური — მალე ევროკავშირის მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენს, ხოლო ერთიანი ვალუტის მქონე 19 ქვეყანა მშპ-ს სამ მეოთხედს (ამჟამინდელი ორი მესამედის ნაცვლად) წარმოადგენს, — ნათქვამია ნერილი.

„თავდაცვის სფეროში ტრამპის ეფექტმა, შემოდგომიდან დააჩქარა „სტრატეგიული ავტონომიის“ ძიების პროცესი“.

დაბოლოს, კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმების თაობაზე მეველი მიიჩნევს, რომ ევროპელები გამოიყენებენ ბრიუსელში ევროკავშირ-ჩინეთის სამიტს და ჩინეთის პრემიერმინისტრ ლი კეციანთან ერთად დადასტურებენ მესიეს, რომელიც G7-ის ქვეყნებმა ტაორმინში გაასაჯაროვეს — „დონალდ ტრამპი ხმამაღლა ლაპარაკობს, მაგრამ მარტოსულია“.

ჰააგის სკრ და მოსაკვდინებელი მარტოსულია

ბოსნიელ მუსლიმთა მეთაური ნასერ მორიჩა, რომელიც ტრამპსობდა, რომ პირადად სჭრიდა ყელს სერბ სამხედრო ტყვეებს, ჰააგის ტრიბუნალმა ჯერ კიდევ 2008 წელს გაამართლა. ახლა მას ბოსნიაში ასამართლებენ, ოქტომბრამდე საშინაო პატიმრობაში ჰყავთ.

სერბი გენერალი რადკო მლადიჩი, რომელმაც სერბეთში მუსლიმთა მოქალაქეების ევაკუირება მოახდინა, ხუთი წელიწადია, ჰააგის ციხეში ჰყავთ გამომწვეველი მოგონილი ბრალდებით და, მიუხედავად მესამე ინსულტისა, სამკურნალოდ არ უშვებენ.

რადკო მლადიჩის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, მეტყველება დაეკარგა, გახდა საშინლად, ჰააგის ციხის პერსონალი მას რაღაც გაუგებარი ფხვნილებით მკურნალობს, რომელთა დანიშნულებას გენერალს არ აგებინებენ, თუმცა ძნელი მისახვედრია არ უნდა იყოს, რადგან ამ ციხის კედლებში, იუგოსლავიის უკანასკნელი ლიდერი სლობოდან მილოშევიჩის ჩათვლით, 16 სერბი პატიმარი გარდაიცვალა. მათგან ზოგმა, მაგალითად, სერბსკა კრანას რესპუბლიკის პრეზიდენტმა მილან ბაბიჩმა, თავი მოიკლა. სუიციდე განხორციელდა ისეთ კამერებში, რომლებშიც სადღეღამისო თვალთვალა მიწვებილი.

სურთ, გენერალ მლადიჩს დააბრუნონ მესამხტეთა ქალაქ სერბენიცას მუსლიმი მოსახლეობის უადრესად უცნაური გენოციდი: ბრალდების ვერსიით, სერბები, ვითომდა რაღაც საკრალური მოსაზრებით ხოცავდნენ მხოლოდ მამაკაცებს. ასეთი საკრალური ბუნების ახსნას ბრალდებულები ვერ ახერხებენ, მათ განკარგულებაში არ არის გენერლის არც ერთი ბრძანება მასობრივი დახვრეტების შესახებ გაცემული, არც ერთი მოწმე, რომლებიც დაადასტურებდ-

ნენ, რომ მლადიჩი ამას უბრძანებდა თავის ჯარისკაცებს. არის მხოლოდ ვიდეო, რომელიც ასახავს, თუ როგორ ხელმძღვანელობს სამხედრო მეთაური ქალებისა და ბავშვების ევაკუაციის პროცესს. ქალაქში მამინ გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა — ბოსნიისა და ჰერცეგოვინის არმიის 28-ე დივიზიის ნაწილები, რომლებსაც იგივე ნასერ მორიჩა სარდლობდა, შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ თვით ორიჩა იმ მომენტში ქალაქში არ იმყოფებოდა, მან და სარდლობის სხვა წარმომადგენლებმა სრულიად გაუგებარი მოტივით დატოვეს იქაურთა ზუსტად სერბების შეტევის დაწყების წინ.

მლადიჩსა და სერბებს მიაწერენ რვა ათასი მუსლიმი „ბიჭისა და კაცის“ რუსეთში ურ დახვრეტას, მიუხედავად იმისა, რომ მიუკერძოებელი სტატისტიკით, სერბენიცაში არ ცხოვრობდა მამობითი სქესის ამდენი ადამიანი.

იყო აშკარა ჩავარდნებიც: მსხვერპლთაგან ზოგიერთი სასწაულებრივ „ცოცხლდებოდა“, თანაც არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს მიღმა, მაგალითად, შვეიცარიაში.

სერბენიცას ხოცვა-ჟლეტის ანტიერბული მითის აბსოლუტური ბლეფის მიუხედავად, ჰააგის მოსამართლეები სრულად უგულვებელყოფენ ფაქტს, რომლითაც დასტურდება, რომ ორიჩას მოთარეშებმა 1992 წლიდან 1993 წლამდე ცეცხლში ამოუღეს სერბენიცას ახლომდებარე 153



სერბული სოფელი, მოკლეს მინიმუმ 3262 ადამიანი, რომელთა შორის სამხედრო მხოლოდ 880 იყო. ამასთან, მკვლელები მხოლოდ „ბიჭებსა და კაცებს“ არ უსწრაფებდნენ სიცოცხლეს, კლავდნენ ქალებსაც, ადამიანებს გასავდნენ ძელებზე, შამფურებზე, აუბატიურებდნენ, ყელსა სჭრიდნენ, ცოცხლად წვავდნენ, თავს სჭრიდნენ, გულს ამოკვეთავდნენ. ნიშანდობლივია, რომ მსხვერპლზე მასობრივ თავდასხმებს პრისტიანულ ზეიმებს უსადაგებდნენ. ორიჩას ყასბების ამგვარი დანაშაულის ფაქტები დაფიქსირებულია, მაგრამ ჰააგის ჯოუტად არ სურს, ყურად იღოს ეს დოკუმენტურად დამტკიცებული დანაშაულობანი. ეგებ იმიიტარიში.

ორიჩას ნინაღმდეგ ჩვენება მისცა სერბენიცას ცნობილმა მუსლიმმა პოლიტიკურმა მოღვაწემ იბრან მუსტაფიჩმა, რომელმაც თავის ნიგში „დაგვემილი ქაოსი“ გადმოგვცა მუსლიმი მეთაურის სპეციფიკური მოგონებანი:

„ტყვეების დახოცვა ციხის შესასვლელში დაიწყეთ. მე მერგო სლობოდან ილიჩი, ნვერიანი და ცხოველივით ბანჯგელიანი კაცი. იგი მე მიცქერდა და სიტყვას არ ამბობდა. ავიღე და თვალში ჩავარტყი ხიშიტი. ხმა არამოუღია. მაშინ მეორე თვალში ჩავარტყი, მაგრამ არც განძრეულა. პირველად ამ ომში მამინ შემეშინდა და ყელი გამოვჭერი“.

ამ ნიგნის გამო მუსტაფიჩის რამდენჯერმე თავს დაესხნენ, დაემუქრნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მონაწილეობს ორიჩას სასამართლო პროცესში, როგორც ბრალდ-

ების მოწმე. მასთან ერთად კიდევ 12 მოწმეა...

გენერალი მლადიჩი ჰააგის ციხეში სიკვდილს ებრძვის, „ბრიგადის გენერალი“ ნასერ მორიჩა თავისუფლების ჰაერით სუნთქავს, მაგრამ ერთიცა და მეორეც მხოლოდ პაიკებია დასავლეთის ბნელ გეოპოლიტიკურ ომში. სერბი მხედართმთავრის სიკვდილი აშშ-სა და ევროკავშირის იმისთვის სჭირდება, რათა საუკუნოდ დააკანონოს იუგოსლავიის დანაწევრება და მთელი მისი ტერიტორიის ახალი მსოფლიო წესრიგის დაქვემდებარებაში გადასვლა. ორიჩა კი სურდა ფულია, ძვლის ნატეხია, რომელიც შეიძლება გადაუგდონ კიდევ სერბეთის ახლანდელ ხელმძღვანელობას, რათა მისგან უფრო მეტი ლოიალობა მიიღონ და მოსთხოვონ, თავი დაანებოს რუსეთისკენ თვალის გაპარებას.

ალექსე ტოპოროვი

ქალ-სახსართა პათოლოგიისა და გასდომა-გასუქების ხანტარი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული სრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მალაღეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მონესრიგებით, ქოლესტერინისგან განმედილი, ყველაფერი — მცენარეული პროპარატებით, უკურვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: ნაჩითლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო **ესტუბრათი** **ჩვენს სანტს**

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

<http://www.geworld.ge>

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
 გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
 ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894

9177223313890091